ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

გვ.5

16 წლის ახალქალაქელი ბიჭი ბათუმში ყარაბაღის გამო დაჭრეს

მრგვალ ბაღთან აქციაზე დაკავებულ აკაკი ნაკაშიძეს 2.300-ლარიანი ჯარიმა შეეფარდა

გვ.5

ოთხშაბათი, 7 ივლისი, 2021 №122 (8651) ფასი: 60 თეთრი

სოლიდარობის აქცია და ქვების სროლა რუსთაველზე

გვ.2

პოლიციამ რადიკალების უამრავი წარმომადგენელი დააკავა



„ხელისუფლებას სიტუაცია ხელიდან გაექცა“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „როგორ შეიძლება, ბრბო ასე დარბოდეს ქუჩებში და ბავშვებს არბევდეს. რეალურად იქ გეები არავის უცემია. ისინი იქ არ ყოფილან“

გვ.4

„გახარიას ვაშინგტონში ურჩიეს, არ შექმნას პარტია“



მირიან მირიანაშვილი: „ხელისუფლებას მოუწევს 5 ივლისს მომხდარი დანაშაულების გამოძიება, რასაც ამერიკა მონიტორინგს გაუწევს“

„5 ივლისს ხელისუფლებამ ჟურნალისტების დასჯა გადაწყვიტა“

დავით ჭიჭინაძე: „ეკლესია ერთადერთი ინსტიტუტია ქვეყანაში, რომლის რეიტინგსაც ივანიშვილმა ვერაფერი მოუხერხა“

გვ.3

„ივანიშვილის რეჟიმმა თბილისში გავრილოვის მეორე ღამე მოაწყო“

გიორგი ბარამიძე: „პუტინის გეგმა გეგმაზომიერად სრულდება“

გვ.3

ISSN 1987-9385

4 კახა კუჭავა: „არავითარი მაგრამ! მომხდარს არანაირი გამართლება არ აქვს! ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს!“

4 კრამერი: „დროა, დასავლეთმა ღარიბაშვილს სანქციები დაუწესოს“

5 დააკავეს პირი, რომელიც 5 ივლისს რუსთაველზე მოპედით ჟურნალისტებს დაეჯახა

6 ინდოეთში მოსახლეობა კოვიდის ვაქცინის ნაცვლად მარილიანი წყლით აცრეს

სოლიდარობის აქცია და ქვების სროლა რუსთაველზე

პოლიციამ რადიკალების უამრავი წარმომადგენელი დააკავა

გუშინ, 6 ივლისს, თბილისში, პარლამენტის შენობასთან, სოლიდარობის მდუმარე აქცია გაიმართა, რომელსაც მოგვიანებით თბილისი პრაიდიც შეუერთდა.

ამის პარალელურად, ქაშუეთთან პრაიდის მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ, რომლებმაც არაერთხელ ცადეს აქციასთან მიახლოება.

ამაში მათ ხელს პოლიცია უშლიდა, რომელმაც ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა.

პრაიდის მოწინააღმდეგეები რამდენიმეჯერ ფიზიკურად დაუპირისპირდნენ პოლიციას, რის შემდეგაც ადგილზე პოლიციის დამატებითი ძალები მიიყვანეს და დამატებითი რკინის ჯებირებიც მიიტანეს.

თბილისი პრაიდის წევრებმა აქციაზე ღგბტ დროშა გაშალეს და ფერადი კვამლი გაუშვეს.

პრაიდის მოწინააღმდეგეები დროდადრო ცდილობდნენ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისთვის სხვადასხვა ნივთის სროლას.

საღამოს ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. აქციის მოწინააღმდეგეებმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მხრიდან პოლიციის კორდონისა და რკინის ჯებირების ნაწილი გაარღვიეს, თუმცა პოლიციამ მათი შეკავება მოახერხა.

სამართალდამცავებმა რადიკალურად განწყობილი რამდენიმე პირი დააკავეს, რომლის დროსაც მათ და პრაიდის მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირება მოხდა. რამდენიმე სამართალდამცველი დაშავდა და მათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდათ.

მოგვიანებით სოლიდარობის აქციის მონაწილეების ნაწილმა რუსთაველის მიმდებარე ტერიტორია დატოვა. ეს მათ სამართალდამცველთა დახმარებით მოახერხეს.

აქციის მონაწილეთა ნაწილმა ტერიტორიის დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც პრაიდის მოწინააღმდეგეებმა პოლიციის ცოცხალი ჯაჭვისა და რკინის ბარიკადების გარღვევა ცადეს.

გუშინ საღამოს საქართველოს საპატრიარქომ ასეთი განცხადება გააკეთა:

„ამ წუთებში რუსთაველის გამზირზე მიმდინარე დაძაბულობიდან გამომდინარე, მივმართავთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, საზოგადოების ყველა წევრს – დაუშვებელია ისედაც დაძაბულ ფონზე გინებითა და სიტყვიერი შეურაცხყოფით დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია.

დაპირისპირების ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაზრდა საზიანო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

ძალადობა ვერასდროს იქნება სიკეთის მომტანი. ის დაზარალებს არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოს.

ყველას მოგიწოდებთ სიმშვიდისაკენ!“

საღამოს 10 საათისთვის სოლიდარობის აქცია დასრულდა. ამის შემდეგ კი რუსთაველის გამზირზე სპეცდანიშნულების რაზმი მიიყვანეს.

– პოლიცია ყველაფერს აკეთებს, რომ ძალისმიერი მეთოდების გარეშე სიტუაცია დაარეგულიროს, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ორი აქციის მონაწილეები მშვიდ ვითარებაში, უსაფრთხოდ გავიდნენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან. შესაბამისად, ჩვენ ორივე მხარესთან საუბარი გვქონდა. აქცია დასრულებულია. პირველ რიგში, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი ადამიანები უსაფრთხოდ დატოვებენ ტერიტორიას, – განაცხადა საქართველოს პატრულის სამსახურის უფროსმა ვაჟა სირაძემ.

მოგვიანებით სოლიდარობის აქციის მონაწილეებმა ტერიტორია დატოვეს.

კონტრაქციის მონაწილეები ადგილზე დარჩნენ. ისინი დროდადრო ქვებსა და კვერცხებს ისროდნენ.

პოლიციამ კონტრაქციის უამრავი წარმომადგენელი დაიკავა.

მოსამართლეების დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს

– ცალსახაა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს.

ეს განცხადება გუშინ, 6 ივლისს, პარლამენტში პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა, დეპუტატმა მიხეილ დაუშვილმა გააკეთა.

მისივე თქმით, სასამართლოში სიღრმისეული რეფორმები უნდა დაიწყოს, რაც უპირველესად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა შეეხოს.

დაუშვილის თქმით, მოსამართლეების დანიშვნის პროცესი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განახლდეს.

– ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა დანიშვნებზე გადაწყვეტილების ორმაგი 2/3-ის პრინციპით მიღების თაობაზე. არამოსამართლე წევრების 2/3-მა სავალდებულო წესით კანდიდატების დანიშვნას უნდა დაუჭიროს მხარი. მოსამართლეობის ზოგიერთი კანდიდატის პროფესიონალიზმის მიუხედავად, არ ვაპირებთ, რომელიმე კანდიდატს მხარი დავუჭიროთ. ჩვენი ამოცანაა, მოქალაქეებს ვაჩვენოთ, რომ პროცესი მანკიერია, მიმდინარეობს და ის უნდა შეჩერდეს, – განაცხადა მიხეილ დაუშვილმა.

„ხელისუფლებას სიტუაცია ხელიდან გაექცა“

თორნიკე შარაშენიძე: „როგორ შეიძლება, ბრბო ასე დარბოდეს ქუჩებში და ბავშვებს არბევდეს. რეალურად იქ გეები არავის უცემია. ისინი იქ არ ყოფილან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ განვითარებულ პროცესებს? ძალიან დიდი აგრესია მოდიოდა. ვინ იყო ეს ხალხი საერთოდ? გველაპარაკებოდნენ ქრისტესა და ეკლესიის სახელით. ძალიან ბევრი ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომ მათ პრემიერმა აუნთო მწვანე შუქი. რას იტყვით თქვენ?

– ძალიან ცუდი სანახავი იყო ეს ყველაფერი. ძალადობას არანაირი გამართლება არა აქვს. მგონი, მოხდა შემდეგი – პრემიერმა და მთავრობამ, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ძალიან სახიფათო იქნებოდა პრაიდის ჩატარება ზედ რუსთაველზე, დაინახეს, რომ იქ ბევრად აგრესიული ჯგუფები იკრიბებოდნენ და თქვეს, რომ რადგან ესენი მოვიდნენ რუსთაველზე, პრაიდი ვეღარ ჩატარდება რუსთაველზე. როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა. ვერ გაითვალისწინეს ის, რომ იქ შეკრებილი „ვაჟკაცები“ დაერეოდნენ ჟურნალისტებს. რუსთაველზე კი საკმარისი პოლიცია არ აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტები ამ ბრბოსგან დაეცვა. ჩემი აზრით, მთავრობამ ვერ გათვალა, რომ ამხელა აგრესია წამოვიდოდა.

– რატომ იყო ამხელა აგრესია მასმედიის წინააღმდეგ?

– არ ვიცი, ამის ახსნა ძალიან მიჭირს. გასაგებია, რომ საქართველოში ჰომოფობია არსებობს, მაგრამ პატარა გოგო-ბიჭებს, ბავშვებს რომ დასდევენ საცემად, ეს უკვე ჰომოფობია არ არის, რაღაც სხვა ხდება. დიდი აგრესიაა დაბუდებული. შეიძლება, ეს აგრესია პანდემიის დროს დაგროვდა, კარანტინის დროსაც. ძალიან მიჭირს რაიმეს თქმა და ახსნა, თუ რა გვჭირს. ამასთან სერიოზული მუშაობა იქნება საჭირო.

– ძალიან საშიში ფაქტია. თუნდაც სოციალურ ქსელს რომ ვადევნებთ თვალს, ისეთი დაპირისპირება, ლანძღვა-გინება და განსხვავებული აზრის მიუღებლობაა, ეს ხალხი ქუჩაში რომ გავიდეს, ალბათ ერთმანეთს დახოცავენ...

– დიდი არაფერი ვაჟკაცები არ არიან. უბრალოდ, როცა ბრბო იკრიბება ერთად, იქ მისი თითოეული წევრი, თითოეული ადამიანი ჭკუას კარგავს და საერთოდ ეკარგებათ დაუსჯელობის შეგრძნება, ფიქრობენ, რომ ყველაფერი მოსულა. სწორედ ეს ვიხილეთ.

– ძალიან ბევრი პრემიერს ადანაშაულებს. მისმა განცხადებამ რამდენად წაახალისა ბრბო?

– პრემიერს ხაზგასმით უნდა აღენიშნა, რომ პრაიდის მონაწილეებიც ჩვენი მოქალაქეები არიან. მათი დასაცავი განცხადებაც უნდა გაეკეთებინა. დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არ ელოდნენ იმას, რაც მოხდა.

– ხელისუფლებას ისრები ოპოზიციისკენ გადააქვს, პრაიდის უკან სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა დგას, პროვოკაცია მათ გამოიწვიესო. ასეა?

– მეც მოვუსმინე ღარიბაშვილს და პრაიდის უკან სააკაშვილი დგასო, არ უთქვამს. მან თქვა, დღევანდელი აქციის უკან დგასო. როგორც ჩანს, იგულისხმა ეს აგრესიული ჯგუფები. მანამდე კობახიძეც გამოვიდა და თქვა, რომ ეს არეულობა ნაცმოძრაობის ინტერესებშიაო. სიმართლე გითხრათ, რას აბრალებენ, ვერ გავიგე. პირადად მე, არა მგონია, პრაიდის უკან სააკაშვილი იდგეს, ნამდვილად. სააკაშვილის დროს კიდევ უფრო ნაკლებად იყო წახალისებული გეიაღლუმები. ეს ყველას გვახსოვს. საერთოდ არ ყოფილა. მაშინ ვერავინ ბედავდა გეიაღლუმების ჩატარებასა და მსგავს რაღაცას. ასე რომ, პრაიდის უკან სააკაშვილის მოაზრება, რა თქმა უნდა, კომიკურია. ალბათ ღარიბაშვილიც დაიძვრენს თავს და იტყვის, რომ მას სააკაშვილი არ უგულისხმია.

– სათანადო რეაგირებას არ ახდენს ხელისუფლებაო. უნდა დაიწყოს თუ არა სწრაფად გამოძიება და დაისაჯონ დამნაშავეები?

– ამას თუ არ იზამენ დღესვე, შეიძლება, ხელიდან გაექცეთ სიტუაცია და ქვეყანა დაექცევათ თავზე! ეს, წესით, არ აწყობთ, მთავრობაში თვითონ არიან, ამიტომ, დიდი იმედი მაქვს, შესაბამისი უწყებები ჩაერთვებიან და საქმეს დროულად მიხედავენ. როგორ შეიძლება, ბრბო ასე დარბოდეს ქუჩებში და ბავშვებს არბევდეს. რეალურად იქ გეები არავის უცემია. ისინი იქ არ ყოფილან.

– ზოგის ჩაცმულობა არ მოეწონათ, ზოგის – საყურე ყურზე, ზოგის – დასმული კითხვა და ასე შემდეგ.

– ძალიან ცუდი რამ მოხდა. ამიტომ დროული მოქმედებაა საჭირო.

– ძალიან მკაცრი იყო დასავლელი პარტნიორების შეფასებები. რამდენად უფუჭებს ეს იმიჯსა და ურთიერთობებს ჩვენს ხელისუფლებას დასავლეთთან?

– კი, მოვისმინეთ ეს შეფასებები. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ დროულად და სათანადოთ. მსგავსი რამ თუ გამეორდა, მართლაც სახიფათო ფაზაში შევალთ.

– სამართალდამცველების რიცხვი საკმაოდ ცოტა იყო და ხომ შეიძლებოდა, მეტი პოლიცია გამოეყვანათ, როდესაც ასეთი აგრესიული ჯგუფები შეიკრიბნენ რუსთაველზე?

– კი, შეიძლებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, მართლა არ ელოდნენ, რომ მსგავსი რამ მოხდებოდა. ალბათ ჩათვალეს, რომ რადგან ასეთი აგრესიული ხალხი გამოჩნდა ქუჩაში, რუსთაველზე პრაიდი ვეღარ ჩატარდებოდა და ყველაფერი მოგვარდებოდა თავისით. როგორც ჩანს, ამ განვითარებას ღარიბაშვილი საერთოდ არ ელოდა.

– იყო მოწოდებები როგორც ჩვენი საზოგადოების მხრიდან, ისე დასავლეთიდან, რომ პრემიერი უნდა გადადგეს. ასეთი მკაცრი შეფასებების შემდეგ რა მოლოდინი გაქვთ?

– ნამდვილად არ არის ერიკ კრამერი იმ დონის ფიგურა, რომ ღარიბაშვილს გადადგომისკენ მოუწოდოს. ეს კარგი საქციელი ნამდვილად არ იყო. რა არის ეს, რა მოწოდებაა. მართალი გითხრათ, ჩემთვის მიუღებელია ასე პირდაპირ მსგავსი მოწოდებები ვიღაც ერიკ კრამერისგან. მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელი ასეთი ტონით არ უნდა საუბრობდეს.

– ქვეყნის შიგნითაც გაისმა მსგავსი განცხადებები...

– ჩვენთან, კი ბატონო, გასაგებია. ეს ჩვენი გადასაწყვეტია და არა – ვიღაცის, მით უმეტეს ადამიანის, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია, აღარ არის ამერიკის მთავრობაში.

– ელით ადეკვატურ ნაბიჯებს ხელისუფლების მხრიდან?

– დიდი იმედი მაქვს, დასჯიან ყველას, ვინც ჩანს კადრებში და ეს იქნება კარგი მაგალითი. პირდაპირ ვთქვათ, რომ სიტუაცია გაექცათ ხელიდან, გაექცათ მართვის სადავეები. მე ცოტა უფრო შორს წავალ და ვიტყვი, რომ ნამახვანის ჰესის აქციები თავის მიზანს აღწევს, სამწუხაროდ, ჩერდება ჰესების მშენებლობა. როცა სახელმწიფო უკან იხევს, მერე მსგავს რაღაცებსაც უნდა ელოდე. კიდევ ერთიც არის, ნამახვანჰესს ვინც დაუჭირა მხარი, ძალიან ლიბერალებმა, ახლა სიმწრით თითებს იკბენენ. როცა შენ ჰესის საწინააღმდეგო კამპანიას უჭერ მხარს ხალისით, მერე ნუ ელოდები, რომ გრიალ-გრიალით ჩაივლის პრაიდი ზედ რუსთაველზე!

– ვარლამ გოლეთიანიც ვიხილეთ რუსთაველზე თავისი ამალით...

– ზუსტად! აი, ესაა საქმე. როცა მსგავს პერსონაჟებსა და ბრბოს ასეთ პასუხისმგებლობას დააკისრებ და გგონია, რომ ეს კეთილშობილური საქციელია, მერე ნუღარ ელოდები, რომ მარტივად ჩაივლის პრაიდი შუა რუსთაველზე. მერე უარესი მოხდება. ხელისუფლებას ჰესთან დაკავშირებით უკან არ უნდა დაეხია. ეს მისი ვალდებულება იყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილის რეჟიმმა თბილისში გავრილოვის მეორე ღამე მოაწყო“

გიორგი ბარამიძე: „პუტინის გეგმა გეგმაზომიერად სრულდება“

იაგო ნაცვლიშვილი

ძალადობრივი აქცია, რომელსაც ხელისუფლებამ ხელი არ შეუშალა თუ პრემიერის მიერ ორგანიზებული ძალადობრივი აქტი? — ეს არის მთავარი კითხვა, რაც საზოგადოებაში 5 ივლისის სისხლიანმა დილამ დატოვა. ამ საკითხზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე საუბრობს.

– ემოციურმა ფონმა ჩაიარა და შეგვიძლია რაციონალური შეფასება. საკმარისია თუ არა ის, რომ „ქართული ოცნების“ წევრები გმობენ ძალადობას?

– თქვენს შეკითხვაშიც რიტორიკული ნოტებია და ჩემი პასუხია, რა თქმა უნდა, არა. მოძალადეები ვითომ გეიაღლუმის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ნახეთ, რა გააკეთეს? დაარბიეს ნაცმოძრაობისა და სხვა ოპოზიციური პარტიების კარვების ქალაქი, რომლებიც გაყალბებას აპროტესტებდნენ, სცემეს ჟურნალისტებს, რომლებიც „ოცნებას“ არ მოსწონს.

– მათ შორის, ვინც მოსწონს „ოცნებას“, იმ არხების ჟურნალისტებსაც სცემეს.

– ზოგადად პროცესი ისეთი იყო, რომ უკვე ძნელი იყო გარჩევა. პრესა რომ ნერვებს უშლის მათ, ეს ხომ კარგად ვიცით! თუნდაც მათდამი ლოიალური პრესა ზოგჯერ ისეთ კითხვას სვამს, რომელიც არ მოსწონთ. მაგალითად, რატომ გაიზარდა უმუშევრობა, ფასები, სიღარიბე, რატომ გაიქცა ლარის კურსი და ა.შ.

ამას გარდა, მათ ჩამოხსნეს ევროკავშირის დროშა. პირდაპირ შეუსრულეს პუტინს თავისი ოცნება. თანაც ამას შეუფერხებლად, საათზე მეტ ხანს გადასცემდა „რაშა თუდეი“ პირდაპირ ეთერში. ამ არხისთვის ხელი არავის უხლია.

ეს გააკეთეს, გამოვიდნენ ვითომ გეიაღლუმის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგი ღარიბაშვილიც იყო.

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, პრემიერმა, რომელმაც წაახალისა ძალადობა.

– დიახ. ისინი ასრულებდნენ ღარიბაშვილის დავალებას. ჩამოვთვალე კონკრეტული ფაქტები. ხომ მითხარით, ემოციის გარეშე გავაანალიზოთ, რა მოხდაო. აი, ეს მოხდა. რაც ჰქონდათ დაგეგმილი, ის გააკეთეს. მათ უნდათ წარმოაჩინონ, თითქოს ისინი არაფერ შუაში არიან. გააკეთეს იმ ხალხის ხელით, რომლებიც მათი აიპ-ებისა და გამგეობების თანამშრომლები არიან, შეუტიეს იმ ფასეულობებსა და ინსტიტუციებს, რომლებიც ნერვებს უშლიდა ხელისუფლებას.

– სოციალურ ქსელებს რომ ვადევნებ თვალყურს, ვხედავ კომენტარებს, რომლითაც მედიის მიმართ განსაკუთრებული აგრესიაა. ეს შემთხვევითია, ანუ ხალხშია პროტესტი მედიის მიმართ თუ ესეც გეგმის ნაწილია?

– არა, რა თქმა უნდა. გჯერათ, რომ მედიის მიმართ აგრესია ხალხშია?! ხალხი ასეთი გამოშტერებულია?! ვინმეს ჰგონია, რომ მედია, რომელიც აშუქებს მოვლენებს და რომელიც სარკეა, იმას უბრაზდება ხალხი?! აქამდე მივდივართ გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად. რამდენი ინტერვიუ მაქვს მოცემული თქვენთვის ამ თემაზე. პუტინის გეგმა სრულდება გეგმაზომიერად. 2 წლის წინ გავრილოვი ჩამოიყვანეს, ახლა უკვე გავრილოვის მეორე ღამე მოაწყვეს – ჩამოხსნეს ევროკავშირის დროშა. სხვათა შორის, ოფიციალური სიმბოლიკაა. მოგეხსენებათ, ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს ერთი და იგივე დროშა აქვთ და ჩვენ ევროპის საბჭოს წევრები ვართ 1999 წლიდან. ის დროშა სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლიკაა. წესით, მას უნდა იცავდეს სახელმწიფო და როგორ დაიცვეს, კარგად დავინახეთ.

– ოპოზიცია რამდენად აქტიური იყავით? იმიტომ, რომ მეც და ჩემს ბევრ კოლეგასაც გაგვიჩნდა განცდა, რომ მედია სრულიად მარტო ვიყავით.

– ოპოზიციას რა უნდა გაგვეკეთებინა, პოლიციის როლი შეგვესრულებინა?! ხელკეტები და ფარები აგვეღო და სპეცრაზმის როლი შეგვესრულებინა?!

– სხვა მხრივ უნდა ყოფილიყავით აქტიურები, განცხადება განცხადებაზე უნდა გაკეთებულიყო მთელი დღე, რაც არ ყოფილა.

– განცხადება განცხადებაზე გაკეთდა კიდეც. თინა ბოკუჩავა ჩვენი სახელით მყისიერად გამოვიდა და არაერთი ოფიციალური განცხადება გავაკეთეთ. მერე ვმუშაობდით და საღამოს ნახეთ, რომ შევაჯერეთ განცხადების ტექსტი.

– ეს განცხადებაც საკმაოდ რბილი მომეჩვენა.

– მოგეხსენებათ, რომ ოპოზიცია ძალიან ჭრელია და გვინდოდა, მაქსიმალურად შეჯერებული პოზიცია ყოფილიყო, მეტ-ნაკლებად ვინც ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან, მათ შორის ისეთებიც, ვინც დაუკითხავად მოაწერა ხელი შარლ მიშელის დოკუმენტს, რაც იმთავითვე ნათელი იყო, რომ ეს იყო ფარატინა ქაღალდი და ახლა უკვე დამტკიცდა ეს. ასევე იყო საელჩოებთან მუშაობა. პოლიტიკურად აქტიურობა რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, გარდა ქუჩაში გამოსვლისა. ქუჩაში გამოსვლა მხოლოდ შეტაკებებს მოიტანდა და ჩვენი ამოცანა ის ხომ არ ყოფილა, რომ ცეცხლზე ნავთი დაგვესხა. ჯინივით აუშვა ხელისუფლებამ არსებული ვითარება, როგორ დაიპყრეს მოძალადეებმა ერთი დღით საქართველოს დედაქალაქის ცენტრი.

– რაც ვიხილეთ, ეს იყო ის, რომ საპატრიარქოსა და სხვადასხვა ჯგუფმა შეკრიბეს მომხრეები და ხელისუფლება იყო უმოქმედო, თუ ამის უკან დგას ხელისუფლება, მათ შორის სუსის ჩართულობით, რადგან, როგორც ცნობილია, ლგბტქ აქტივისტები იცვლიდნენ ოფისებს, მაგრამ ძალიან მალე გვაგნებდნენო. ეს სუსის გარეშე მოხდებოდა?

– კი, თავიდან ბოლომდე ხელისუფლების ორგანიზებული იყო. ისე კი არა, უიმე, რა უნიათოები ვართ და მორიგ ჯერზე გვაპატიეთო, არამედ თავიდან ბოლომდე ეს ის სცენარია, რომელსაც ივანიშვილი ახორციელებს და ეს არის პუტინის გეგმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოშლის თვალსაზრისით.

– შერჩება ესეც?

– ამას ქართველი ხალხი გასცემს პასუხს. პოლიტიკოსებმა რაც არ უნდა მჯიღი ვირტყათ მკერდში, ამაზე ჩვენ მარტო ვერ გავცემთ პასუხს. პარტიები გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია და რა რესურსიც არის ჩვენს ხელთ მშვიდობიანი ბრძოლის მხრივ. ხალხს, ვისაც არ ესმის ან ინფორმაცია არ აქვს, თქვენი, მედიის მეშვეობით მივაწვდით მას.

– გააკეთებთ თუ არა ყველაფერს იმისთვის, რომ პრემიერმა თანამდებობა დატოვოს იმ განცხადების გამო, რომელიც მან გააკეთა?

– რა თქმა უნდა. ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე დაგეგმილი იყო ივანიშვილის რეჟიმის მიერ, პრემიერიდან დაწყებული, სუსის ჯუშუალო ჩართულობითა და შს მინისტრის შესრულებით. სხვა სამსახურებისაც, მაგრამ ეს სამი პიროვნება უშუალოდ იყო ჩართული.

ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია და აქამდეც ყველაფერს ვაკეთებდით, რომ ხელისუფლებაში არ ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რატომ უნდა წავიდნენ. მაგრამ ბერკეტი რა გვაქვს, უნდა დაველოდოთ და გავაპროტესტოთ. ჩვენ დასავლელ პარტნიორებს დაველაპარაკებით და გააჩნია, ისინი როგორ ჩაერთვებიან. თუ მათი ჩართულობა მაქსიმალური იქნება, შესაძლებელია, ივანიშვილი შეშინდეს და ერთი მარიონეტი მეორით ჩაანაცვლოს, ვიდრე საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნება და სანამ კოალიციური ხელისუფლება არ მოვა, მანამდე ისევ ივანიშვილის მარიონეტები იქნებიან. ხომ გვახსოვს, როგორ შეცვალეს პირველად ღარიბაშვილი, არც კი დაურეკავს მისთვის ივანიშვილს, ისე გაუშვა.

– დაკავებულები გამოუშვეს და, ბუნებრივია, არ ვენდობით სასამართლოს. ამ ფონზე ერთადერთ მექანიზმად ხომ არ რჩება ის, რომ ამ საკითხზე შეიქმნას საგამოძიებო კომისია პარლამენტში?

– ესეც ვერ მოიტანს შედეგს. საგამოძიებო საქმე შეიქმნა ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაზე. დადგინდა, ვინ აყალბებდა ხელოვნურად საგამოძიებო მასალებს. მოხსნეს და მერე ისევ დაბრუნეს. შოთაძე გადადგა და მერე უკან დაბრუნდა.

– ანუ საგამოძიებო კომისიის შექმნის აზრს ვერ ხედავთ?

– არა, აზრს როგორ ვერ ვხედავ. შედეგი არ დადგება, თორემ წინააღმდეგი კი არ ვარ. თუნდაც ის კომისია რომ შეიქმნა, ხალხმა ბევრი რამე გაიგო. საქმის გაშიშვლებისა და კიდევ უფრო გამომზეურების წინააღმდეგი კი არ ვარ. ამას გააკეთებს კომისია, მაგრამ იმის იმედი არ გვქონდეს, რომ შედეგი დადგება. თქვენ ხომ იმით დაიწყეთ საუბარი, რომ სასამართლოს არ ენდობით და ალბათ პროკურატურაც იგულისხმეთ. დამნაშავე რომ დაისაჯოს, ეს შედეგი არ დადგება. ილუზია არ გვქონდეს, რომ როდესაც ეს კომისია შეიქმნება, შედეგი დადგება. სანამ ეს რეჟიმი არ მოგვცილდება, ვინც მოძალადეა და მათ დავალებებს ვინც ასრულებს, არავინ დასჯილა და არც დაისჯება. კომისიის შექმნით ვინმემ ილუზია რომ შეიქმნას, იმას უკვე მიამიტიც აღარ ჰქვია.

„5 ივლისს ხელისუფლებამ ჟურნალისტების დასჯა გადაწყვიტა“

დავით ჭიჭინაძე: „ეკლესია ერთადერთი ინსტიტუტია ქვეყანაში, რომლის რეიტინგსაც ივანიშვილმა ვერაფერი მოუხერხა“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, თქვენ როგორ აფასებთ თბილისის ქუჩებში განვითარებულ მოვლენებს? ოპოზიცია ამბობს, რომ ეს იყო ხელისუფლების მიერ მართული და ორგანიზებული პროცესი, ხელისუფლება კი, პირიქით, ოპოზიციას ადანაშაულებს.

– ეს იყო ეკლესიის წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, ასევე – ჟურნალისტების წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაცია. პირდაპირ იკითხებოდა ორგანიზატორის ხელი. ხალხი სპეციალურად იყო ჩამოყვანილი და ეს არ იყო ეკლესიის მიერ ორგანიზებული. ეს არის იმის გამოძახილი, რაც აქამდე შერჩა ხელისუფლებას – 20 ივნისს ჟურნალისტებზე თავდასხმა, მათ წინააღმდეგ მიზანმიმართული დევნა, დაზიანება და ა.შ. მიზანი იყო ჟურნალისტების დარბევა და კარვების აღებადაზიანება. თითქოს ვის წინააღმდეგაც ეს აქცია იყო მიმართული, მე ის ადამიანები, უბრალოდ, არ მინახავს. მათ გადადეს თავიანთი ღონისძიება. მაშინ, რა უნდოდათ? ვის ერჩოდნენ? ხელისუფლებამ ომი ჟურნალისტების წინააღმდეგ დაგეგმა. ეს იყო სადამსჯელო ოპერაცია.

– რატომ, რად ულირდათ? ამას ძალიან მძაფრი და კრიტიკული საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა.

– დიახ, ზიანი მიაყენეს ქვეყანას და მათ კარგად იცოდნენ, რაც შეიძლებოდა, ამას მოჰყოლოდა, მაგრამ მაინც წავიდნენ ამაზე, რათა შური ეძიათ. ყოველ შაბათ-კვირას ჟურნალისტური გამოძიება გადის სხვადასხვა მედიაში. იქ გასული ინფორმაციის მიხედვით, აქამდე ეს ხელისუფლება ან ციხეში უნდა იყოს, ან სახლში.

მეორე, ამ ყველაფრის პირდაპირი ადრესატი იყო ეკლესია და პატრიარქი. გამოდის, ყველაზე მეტად ეკლესია, მისი ავტორიტეტი დაზარალდა. ეკლესია არის ერთადერთი ინსტიტუტი ქვეყანაში, რომლის რეიტინგსაც ივანიშვილმა ვერაფერი მოუხერხა. ე.წ. ციანიდის საქმე და ეს ყველაფერი ხომ მისი რეპუტაციისა და ავტორიტეტის დანგრევისკენ არის მიმართული. ვის მოსწონს ეკლესია მოძალადის როლში?! – არავის! ამიტომ ვამბობ, რომ ეს იყო ეკლესიის წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაცია. როგორმე უნდა დაინგრეს ის ავტორიტეტი, რომელიც აქვს ჩვენს ეკლესიას, მაგრამ ამ ავტორიტეტმა საუკუნეებს გაუძლო და ასე ადვილი არ არის მისი დანგრევა.

– ოპოზიცია პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბრობს. ვისი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს?

– „ქართული ოცნება“ და ოპოზიცია ერთად არიან დამნაშავე, ის ოპოზიცია, რომელმაც მიშელის დოკუმენტზე მოუწერა ხელი „ოცნებას“. ეს ოპოზიცია ყველაფერს „უპრავებს“ ხელისუფლებას. ამ შეთანხმების შემდეგ გაილაღა „ოცნებამ“ და, რასაც უნდა, იმას აკეთებს, რა კანონსაც უნდა, იმ კანონს იღებს პარლამენტში, რასაც უნდა, იმას აკეთებს ქუჩაში. 20 ივნისს ჟურნალისტებს მიზანმიმართულად რომ ესროდნენ, დამნაშავეები კი არ დასაჯეს, ამნისტიით დააჯილდოვეს.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოპოზიციამ რა უნდა გააკეთოს?

– პარლამენტი უნდა დატოვოს. უნდა გამოვიდნენ იქიდან და თქვან, რაც ხდება ქვეყანაში. ამის რეალური საფუძველი აქვთ. ამის ეშინია ყველაზე მეტად დღეს „ოცნებას“. იმის ნაცვლად, რომ რეალურად დაუპირისპირდნენ „ოცნებას“, ეკლესიას ებრძვიან.

– ამ ყველაფერს პოლიტიკური პროცესის ნაწილად მიიჩნევთ?

– რა თქმა უნდა! ეს თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა სხვა ანტურაჟით. ეს იყო პირდაპირი გზავნილი ხელისუფლების მხრიდან, რომ მას შეუძლია, ამ გზითაც იაროს, რომ ამაზეც არის წამსვლელი. თუ ხელისუფლებაში არის ძალა, რომლისთვისაც დემოკრატიული ფასეულობები არაფერს ნიშნავს, ის მზად არის, მისთვის გადამწყვეტ მომენტში ყველაფერზე წავიდეს. ამას ვერ ხედავს ის ოპოზიცია, რომელიც დღეს პარლამენტშია.

– ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ჟურნალისტებზე ძალადობა.

– ციინიზმის მწვერვალია. არ იციან, ვინ ვის ურტყამდა?! მე ვიცი! კარგად ჩანდა კადრებში ყველაფერი. ვუყურებდი კადრებს და აშკარად ჩანდა, რომ პროცესი იყო დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული. რამდენიმე ადამიანიც კი ვიცანი. კადრებში არიან გადაღებული. ამოიღონ კადრები და გაშიფრონ. „ე, ბიჭო, კაი, გაჩერდი“ – ასე არ ელაპარაკებიან დანაშაულის ჩამდენებს. ეს არ იყო ბუნებრივი პროტესტი, რომელიც შეიძლება, ადამიანს გაუჩნდეს. ყველამ ყველაფერი კარგად იცის. ყველაფერი კარგად ჩანდა და ამაზე პასუხი უნდა აგონ.

„გახარიას ვაშინგტონში ურჩიეს, არ შექმნას პარტია“

მირიან მირიანაშვილი: „ხელისუფლებას მოუწევს 5 ივლისს მომხდარი დანაშაულების გამოძიება, რასაც ამერიკა მონიტორინგს გაუწევს“

მარიამ მჭედლიშვილი

5 ივლისის მოვლენები, რომლებიც კარგა ხანია, ხელოვნურად მწიფდებოდა, იმაზე სისხლიანი აღმოჩნდა, ვიდრე საზოგადოება წარმოიდგენდა. დასისხლიანებულთა შორის იყო მედიის 50-ზე მეტი თანამშრომელი, ასევე სამოქალაქო აქტივისტები, ჩვეულებრივი გამვლელები და პოლონელი ტურისტი. ვისი მოფიქრებული სქემით წარიმართა დიდი პროვოკაცია? ვინ ჩართო ამ ანტისახელმწიფოებრივ გეგმაში თავისი პროვოკაციები? რატომ გადმოინაცვლა სქემამ მაისიდან ივლისში? რატომ გაარიდეს თბილისს 5 ივლისს ვასაძე და გახარია? რა აღარ გამოსდის რუსეთს საქართველოში? რა ახალი ფაზა იწყება საქართველოს პოლიტიკაში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ **მირიან მირიანაშვილს**.

– ოპონენტები აცხადებენ, რომ 5 ივლისს დატრიალებულ მოვლენებზე პასუხისმგებელია ხელისუფლება, რომელიც მოქმედებდა საპატრიარქოსთან და მოძალადე ჯგუფებთან ერთად. არის ასევე მოსაზრება იმაზე, რომ ყველაფერზე პასუხი მოეთხოვება „თბილისი პრაიდს“, რომელმაც უარი არ თქვა „ღირსების მარშის“ გეგმაზე. თქვენ რას იტყვით?

– ორივე მოსაზრება მართალია. ორივე მხარე მართალს ამბობს. ერთნიც პასუხისმგებელი არიან მომხდარ დანაშაულებზე და მეორენიც. ერთმანეთთან დაპირისპირებული სუბპროდუქტები იმართებიან ერთი ცენტრიდან.

– საქართველოს ხელისუფლებაზე უფრო მეტს ვერ იტყვით?

– როგორც გითხარით, ყველაფერი იმართებოდა ერთი ცენტრიდან. ხელისუფლებას ჰქონდა თავის მართლების მცდელობა. სახელისუფლებო წრეები 5 ივლისს, დღის მეორე ნახევარში, ცდილობდნენ, აშშ-ის საელჩოსთვის კულუარულად გადაეცათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყველაფერი მოსკოვიდან იმართება და ისინი ამაზე გავლენას ვერ ახდენენ.

– ეს არ არის ტყუილი?

– ვინც მეტ-ნაკლებად ერკვევა სიტუაციაში, იმან იცის, რომ ეს მართალია. რუსეთს უზარმაზარი ბერკეტები ჰქონდა და, საუბედუროდ, ჯერ კიდევ აქვს საქართველოში მოვლენების სამართავად. ხელისუფლებამ აშშ-ის საელჩოს ისიც უთხრა, რომ ამ ინფორმაციას ვერ გაასაჯაროებს. ეს რომ გაახმიანოს, გამოვა, რომ საქართველოს ნომინალური ხელისუფლება ჰყავს. რაღაცა ასპექტში ამას ვეთანხმები კიდეც.

– აღარ მოვიდა სიმართლის თქმის დრო?

– ვფიქრობ, კათარზისი იწყება. ამაზე მე რომ ვლაპარაკობ, ერთია. ღიად უნდა გაცხადდეს, რომ საქართველოს სახელმწიფო აქამდე იყო რუსეთის დანამატი. სხვა მოცემულობა დგება.

– სხვა რეალობის დადგომას დიდი ხანია, აანონსებთ.

– პანდემიამ, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებმა პროცესი ცოტა გააჭიანურა, თუმცა

ახალი მოცემულობა მაინც დგება. 2022 წელს იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ვითარება კარდინალურად შემოტრიალდება.

– 5 ივლისს მედიის წარმომადგენლების ფეხქვეშ გაგდება და გამვლელების ცემა, მათთვის დრესკოდის დაწესება ვისი იდეა იყო? ესეც გაწერილი ჰქონდათ?

– ვიღაცებმა საქმეში თავიანთი წვრილწვრილი პროვოკაციები გაურიეს. მოსკოვის გეგმით, აგრესიულ დაჯგუფებებს უნდა გაელახათ ლგბტ-მარშის წარმომადგენლები. ეს ხალხი უნდა დასტაკებოდა ერთმანეთს. სინამდვილეში, დილით, როცა დარბევები დაიწყო, ლგბტ-პირები ქუჩაში არ იყვნენ. პრორუსული ჯგუფები სხვებს დაერივნენ. მათ შორის, რატომღაც დაეტაკნენ მედიას. საქართველოს ხელისუფლება თავიდანვე სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. „ღირსების მარშის“ გამართვის ნებართვა უნდა გაეცათ სხვა ლოკაციაზე და არა ქალაქის ცენტრში. ყველაფერი სინქრონიზებული იყო. კრემლის იდეოლოგიური არხი „რაშა თუდეი“ პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა, როგორ წვავდნენ პროტესტანტები თბილისში ევროკავშირისა და აშშ-ის დროშებს. ეს კონფლიქტი ჯერ კიდევ მაისში იყო დაგეგმილი.

– მაისიდან ივლისში გადმოიტანეს? მაისში რამ შეუშალათ ხელი?

– მთელი რიგი მიზეზების გამო რუსმა ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს ამ სცენარის მაისში ამოქმედება. მაშინ პოლიტიკაში ახლადმოვლენილი იყო ლევან ვასაძე. მისი მონაწილეობით დარბევები უნდა მომხდარიყო ჩემი პარტიის სახელის გამოყენებით.

– ადრეც გითქვამთ, რომ რუსებს უნდათ თქვენი პარტიის სახელის დუბლირება.

– „ერი“ ჯერ კიდევ 9 თებერვალს დავარეგისტრირე. მანამდე, დეკემბრის ბოლოს, ვაკის პარკში 300-კაციანი ყრილობა გავმართეთ. ლოგო და ემბლემა 30 მაისის 400-კაციან ყრილობაზე წითელ პარკში შევცვალეთ. კანონით, არავის აქვს უფლება, გამოიყენოს დარეგისტრირებული პარტიის სახელი, თუნდაც მისი შემოკლებული ფორმა. წარმოგიდგენიათ? პროდასავლური პარტია „ერის“ სახელი უნდა გამოეყენებინათ რუსული „პოგრომების“ მოსაწყობად.

– ამჯერად ეს სახელი ვერ გამოიყენეს?

– ვერა. ლევან ვასაძე გაარიდეს საქართველოს. რუსებს უნდათ, მასში ჩადებული ინვესტიცია სამომავლოდ გამოიყენონ. 5 ივლისსვე თბილისს გაარიდეს გახარიაც.

– გახარია სად გაუშვეს?

– ქუთაისში ოფისის გახსნაზე. გახარია დადის ქალაქებში, აფუძნებს არარსებული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს, ხსნის ოფისებს და არღვევს კანონს. არ გამიკვირდება, რომ პოლიტიკურად გამოუცდელი გახარია ვერც ხვდებოდეს, რომ კანონს არღვევს. მისი პარტია არარეგისტრირებული ანუ არარსებულია. რუსების მოწოდებით, ის პოლიტიკაში შემოდის და ერთ-ორ კვირაში პარტიის ყრილობასაც ჩაატარებს.

– საზოგადოებას არწმუნებენ, რომ მას დიდი ნდობა აქვს ამერიკელებისაგან.

– ვინც ამას ამბობს, ცრუობს. იყო გახარია აშშ-ში, უნდოდა ნდობის მოპოვება, მაგრამ ტყუილუბრალოდ დაშვრა. ჟარგონი რომ ვიხმარო, „ეტენება“ ამერიკელებს. ისინი არ იღებენ. შეხვდა სენატორ რიშს, უთხრა, პარტიას ვქმნიო. რიშმა ურჩია, ახალი გადამდგარი ხარ და ჯობია, დაისვენოო. როგორც ჩანს, რუსებმა გახარიას პროექტი მაინც არ შეაჩერეს.

– 5 ივლისის გამო პასუხი არავინ უნდა აგოს?

– აუცილებლად უნდა აგონ. ხელისუფლებას მოუწევს 5 ივლისს მომხდარი დანაშაულების გამოძიება, რასაც ვაშინგტონი მონიტორინგს გაუწევს. ამ დღეს, დანაშაულის გარდა, ბევრი სიშტერე და პროვოკაცია მოხდა. საბოლოოდ, დისკრედიტებული აღმოჩნდა საქართველო.

– რუსეთის მიზანი რა იყო, ქვეყნის დისკრედიტაცია და ქაოსის მოწყობა?

– საქართველო მუდმივად არის რუსეთის სამიზნე. მოსკოვი ყველა საშუალებას იყენებს, რომ ზიანი მოგვადგეს, რომ ქაოსში ჩაძირული ქვეყანა ვერ გამოვიდეს რუსეთის გავლენიდან. მისთვის გამოსადეგია ნებისმიერი თემა და წინააღმდეგობა. 5 ივლისს მომხდარზე გამოძიება აუცილებელია. ხელისუფლება ამას ვერ წაუყრუებს და დანაშაულებს რამდენიმე პაიკს ვერ გადააბრალებს. ირაკლი ღარიბაშვილი ვერ მიხვდა, რა შარში ხვევდნენ, თორემ, ფრთხილად იმოქმედებდა. საერთოდ, ეს პროცესები ბევრ რამეს გამოააშკარავებს, უამრავი რამის ლუსტრაციას მოახდენს. წინ გველის სკანდალური აღმოჩენები. შემიძლია ვთქვა, რომ იწყება წინასაარჩევნო კამპანიის ლუსტრაციის ფაზა. მოხდება ახალი გადანაწილებები. ბევრი პარტიის სიამტკბილობა დამთავრდება. რუსეთი აშკარად დასუსტებულია. 2003 წელს, როცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წამართვეს, რუსეთის მოღვაწე სურკოვი დამემუქრა, რომ მე ჩემი პროდასავლური შეხედულებებით ვერასდროს დავბრუნდებოდი საქართველოს საარჩევნო პროცესში, სადაც ყველა როლს სურკოვი ანაწილებს. ახლა სხვა დრო დგება. სურკოვის მცდელობებმა ვეღარ გაჭრა. ჩემი პარტია „ერის“ დუბლირებასაც ვერ ახდენენ.

– რუსეთი იდეოლოგიურად იბრძვის. საქართველოში ბოლო დროს ინერგება აზრი, რომ აშშ-ის ლიბერალური წრეები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უტევენ, ასევე საზოგადოებას აჯერებენ, რომ „თბილისი პრაიდი“ ვაშინგტონიდან იმართება.

– ეს ყველაფერი აბსურდია. აშშ დიდი პატივისცემით ეკიდება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქართველი ხალხის ტრადიციებს. ასე რომ არ იყოს, ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლის ტოტალური მხილება იქნებოდა. აშშ-ის წარმომადგენლები დაწვრილებით არიან ინფორმირებული ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწის ფინანსებზე, ქონებასა და სხვ. ვინმე თუ რომელიმე მღვდელს აკრიტიკებს, აქ ვაშინგტონი რა შუაშია?! ლგბტ-ორგანიზაციებზე უკვე გითხარით, რომ ისინი რუსეთიდან იმართებიან. საქართველოში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე 70-იან, 80-იან, 90-იან წლებში, ასევე შემდეგ ინიშნებოდნენ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები. ყველა მათგანი მოსკოვმა დაამტკიცა. დასავლეთი საუბრობს ყველა ადამიანის უფლებების დაცვაზე.

კრამერი: „დროა, დასავლეთმა ღარიბაშვილს სანქციები დაუწესოს“

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დევიდ კრამერი „მთავარ არხთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველო არასწორი მიმართულებით მიჰყავს და დროა, მას დასავლეთმა სანქციები დაუწესოს:

– ნამდვილად დროა, რომ სანქციები დაწესდეს და პრემიერ-მინისტრი ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია, თუ ის არ გააკეთებს იმას, რაც სწორია, მაშინ, ვფიქრობ, დასავლეთმა მას სანქციები უნდა დაუწესოს, რადგან მას საქართველო არასწორი მიმართულებით მიჰყავს და ზოგიერთის აზრით, ამას ბატონი ივანიშვილის დავალებით ან თანხმობით აკეთებს. დროა, დასავლეთმა აჩვენოს, რომ ის სერიოზულად უდგება საქმეს და ამდენი კრიზისით უკვე ყველა დაიღალა, – განაცხადა კრამერმა.

მისი თქმით, ირაკლი ღარიბაშვილს არა მარტო 5 ივლისს მომხდარ ძალადობაზე, არამედ ნიკა მელიას დაკავებასა და შემდეგ განვითარებულ მოვლენებზეც ეკისრება პასუხისმგებლობა.

– ვფიქრობ, პასუხისმგებლობა საბოლოო ჯამში ეკისრება პრემიერ-მინისტრს, როგორც მან თავად თქვა 5 ივლისს. მან თქვა, რომ იღებს პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც მოხდა და ვფიქრობ, სწორედ ამიტომ უნდა გადადგეს. „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლების გადადგომა შესაძლოა ასევე სწორი იყოს, მაგრამ პრემიერ-მინისტრმა ვერ აიცილა თავიდან ძალადობა, ვერ დაგმო ეს ძალადობა და ყველაფერი ოპოზიციას დააბრალა. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს საკმარისია, რომ პრემიერმა თანამდებობა დატოვოს, თუმცა ეს არ არის ერთადერთი, რის გამოც მას პასუხისმგებლობა ეკისრება.

რამდენიმე თვის წინ, როდესაც ის პრემიერ-მინისტრი გახდა, მან ნიკა მელიას დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღო. ამიტომ, ჩემი აზრით, ის არ ემსახურება ქვეყნის ინტერესებს, იმედი მაქვს, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ამ მოვლენების დაგმობა ძლიერი სიგნალი იქნება, რომ მთავრობაში ცვლილებების დროა, – განაცხადა კრამერმა.

შალვა პაპუაშვილი: „მოულოდნელი იყო, რომ ჟურნალისტებზე ასეთი მასობრივი ძალადობა მოხდებოდა“

– მოულოდნელი იყო, რომ ჟურნალისტებზე ასეთი მასობრივი ძალადობა მოხდებოდა.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

პაპუაშვილი ირწმუნება, რომ ყველა დამნაშავე გამოვლინდება და სათანადო წესით დაისჯება. მისივე თქმით, ხელისუფლების პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ დაისაჯოს ყველა, ვინც ძალადობა ჩაიდინა.

– ჟურნალისტებზე მასობრივი ძალადობა, რა თქმა უნდა, არ დარჩება სათანადო რეაგირების გარეშე. შს სამინისტრო და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რათა ყველა დამნაშავე გამოვლინდეს. მოგეხსენებათ, აქცია დღის მეორე ნახევარში იყო დაგეგმილი, მაგრამ სამწუხაროდ, მანამდე ჟურნალისტებზე მოხდა ძალადობა. მოულოდნელი იყო და ასეთი რამ არც ყოფილა, რომ ჟურნალისტებზე ასეთ მასობრივ ძალადობას ჰქონოდა ადგილი. აქამდე პოლიცია წარმატებით მართავდა პროცესს, რათა ორი აქცია გაემიჯნა და მოწინააღმდეგე მხარეების ერთმანეთთან კონტაქტი არ დაეშვა. სამწუხაროდ, 5 ივლისს საქმე აქციამდე არ მივიდა და მოხდა ჟურნალისტებზე ძალადობა, რაც მოულოდნელი იყო, – განუცხადა ჟურნალისტებს შალვა პაპუაშვილმა.

კახა კუჭავა: „არავითარი მაგრამ! მომხდარს არანაირი გამართლება არ აქვს! ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს!“

– 5 ივლისს ის შემთხვევა იყო, რომელზეც ნამდვილად ვერ ვიტყვით „მაგრამ“ – ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, ველოდებით მკაცრ რეაგირებებს!

აღნიშნული განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ გუშინ, 6 ივლისს, ბიუროს სხდომა გახსნა. კუჭავას შეფასებით, ის, რაც 5 ივლისს მოხდა, იყო სამარცხვინო, რაც საქართველოს არ ეკადრება.

– ეს იყო ქმედებები, რასაც არ შეიძლება გამართლება ჰქონდეს. არანაირი „მაგრამ“! არ შეიძლება გამართლებული იყოს ის, რაც ჩვენ ვიხილეთ და აუცილებლად დასაგმობია ყველას მხრიდან. ჩვენს ქვეყანას ისტორიულად აერთიანებს სიყვარული და რელიგია, რომელიც მხოლოდ ერთმანეთის პატივისცემას მოგვიწოდებს. რელიგიის სახელით განხორციელებული ეს ქმედებები, უბრალოდ, მიუღებელია!

მართლა არ მესმის, ათ-ათი კაცი ერთს რომ დასდევს, ამას კაცობა ჰქვია?! ვაჟკაცობაში თვლიან თუ ვისი სახელით აკეთებენ ამას?! განსაკუთრებით მიუღებელია, როცა თავდასხმა ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე ხდება, როცა ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ. არავის აქვს უფლება, მათი საქმიანობა შეაფერხოს. ჩვენ ქვეყანაში მსგავს სიძულვილს ადგილი არა აქვს. ტურისტიც კი არის დაჭრილი. ჩვეულებრივ მოქალაქეებს დასდევდნენ ქუჩაში.

ხვალ ამ ადამიანების შვილები შეიძლება იყვნენ ჟურნალისტები და ოპერატორები და მათ შვილებზე ასეთი ქმედება უნდა გაამართლონ?! ერთადერთი გამოსავალი არის მკაცრი რეაგირება, ყველა იმ ადამიანის იდენტიფიცირება, ვინც ამ ძალადობაში იღებდა მონაწილეობას. უნდა დაისაჯოს ყველა! სხვანაირად ვერ განვვითარდებით, – განაცხადა კუჭავამ.

მისივე შეფასებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება იყო ოფისების დარბევა და დროშის დაშვება.

მრგვალ ბაღთან აქციაზე დაკავებულ აკაკი ნაკაშიძეს 2.300-ლარიანი ჯარიმა შეეფარდა

პაატა გურჩიანსა და სოსო გერლიანს 3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიესაჯათ

მრგვალ ბაღთან მიმდინარე აქციაზე დაკავებულ აკაკი ნაკაშიძეს 2.300-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრა.

გადაწყვეტილება გუშინ, 6 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მანუჩარ ცაცუამ მიიღო და აღნიშნულით მან შსს-ს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სასამართლო პროცესზე განმარტა, აკაკი ნაკაშიძე მოქალაქეების მისამართით იგინებოდა, პოლიციელის მოწოდების მიუხედავად, ის არ გაჩერდა და მან პოლიციელების მისამართითაც გააგრძელა გინება. სამინისტროს წარმომადგენელი ნაკაშიძის მიმართ 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა.

ამასთან, უწყების წარმომადგენელი აცხადებდა, რომ დაკავებული, შესაძლებელია, სხვა ეპიზოდებშიც ფიგურირებდეს, რის გამოც ის ადმინისტრაციულ პატიმრობაში უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება თავად დაკავებულს, მან აღიარა, რომ იგინებოდა, თუმცა, აღნიშნა, რომ „9 აპრილის მემორიალთან გარყვნილებას ვერ დაუშვებდა“.

– პატრიარქმა მოგვიწოდა და ვიდექი იქ, ემოციაში ვიყავი და შევიგინე, ბოდიშს ვიხდი, ჩემ თანამოაზრეებთან ერთად ვიყავი. ვიგინებოდი, მომიწოდებდნენ და არ ვჩერდებოდი. ასეთი „პრაიდი“ თუ ჩატარდა, როგორც ქართველი კაცი, იქ დავდგები, მაგრამ ვინანიებ და ბოდიშსაც ვიხდი, – განაცხადა ნაკაშიძემ.

ის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დააკავეს, რაც საზოგადოებრივ ადგილზე ლანძღვას, გინებას, მოქალაქეების შეურაცხყოფას, ასევე პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას გულისხმობს.

იმავე აქციაზე დაკავებულ პაატა გურჩიანს 3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა დაკავებული პირის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება მოცემულობიდან – დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე მოითხოვა. თავად დაკავებული გურჩიანი საპატრულო პოლიციის მიერ გაჟღერებულ გარემოებებს დაეთანხმა და აღნიშნა, რომ „ლანძღვა-გინებას ეთანხმებოდა“.

5 ივლისს აქციის მონაწილეები არასრულწლოვანს გაეკიდნენ, რის შედეგადაც მოქალაქეებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირება მოხდა. სწორედ აღნიშნულ ინციდენტში მონაწილეობდა პაატა გურჩიანი.

გურჩიანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დააკავეს, რაც საზოგადოებრივ ადგილზე ლანძღვას, გინებას, მოქალაქეების შეურაცხყოფას, ასევე პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას გულისხმობს.

აქციაზე დაკავებულ სოსო გერლიანს ასევე 3-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა. პატიმრობის ათვლა 5 ივლისიდან დაიწყო. შესაბამისად, ის დაწესებულებას 8 ივლისს დატოვებს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, მრგვალი ბაღის მიმდებარედ ორი ახალგაზრდა, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები, ქვეითად გადაადგილდებოდნენ, როდესაც დაკავებულმა და აქციის მონაწილეებმა აგრესიულად სიტყვიერი შეურაცხყოფა გამოხატეს და მათ გაედევნნენ. უწყების წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდებმა ჩიხში თავის შეფარება ცადეს. დაკავებული სამართალდამცავებს არ ემორჩილებოდა. ის ახალგაზრდებს ჩიხშიც შეჰყვა. უწყების წარმომადგენლის თქმით, ადგილზე მყოფმა პირებმა, მათ შორის, პოლიციელებმაც აღიქვეს, რომ აქციის მონაწილეები არასრულწლოვნებს მისდევდნენ და ამის აღქმა მათი ვიზუალით, აღნაგობით მარტივად შესაძლებელი იყო.

უწყების წარმომადგენლის განმარტებითვე, არასრულწლოვნებს ფერადი მაისური ეცვათ, რაც გაკიდების მიზეზი გახდა. შსს-ს თანამშრომელი ასევე აცხადებდა, რომ აღნიშნული ფაქტი მას რომ შემთხვეოდა, არათუ არასრულწლოვანი, თავადაც კი ფსიქოლოგიურ ტრავმას მიიღებდა. დაკავებული აცხადებდა, რომ მას ის პირები, რომლებსაც გაეკიდა, არასრულწლოვნებად არ აღუქვამს. შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, დაკავებული სიტყვიერ დაპირისპირებას არ სჯერდებოდა და სიტუაცია ფიზიკური დაპირისპირების საფრთხესაც შეიცავდა.

სოსო გერლიანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დააკავეს, რაც საზოგადოებრივ ადგილზე ლანძღვას, გინებას, მოქალაქეების შეურაცხყოფას, ასევე პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას გულისხმობს.

დააკავეს პირი, რომელიც 5 ივლისს რუსთაველზე მოპედით ჟურნალისტებს დაეჯახა

აქციის მონაწილე, რომელიც 5 ივლისს რუსთაველის გამზირზე მოპედით ჟურნალისტებს სპეციალურად დაეჯახა, დაკავებულია.

შეგახსენებთ, 5 ივლისს საპატრიარქოს მოწოდებით „თბილისი პრაიდის“ კონტრაქციაზე მისული მრევლისა და საეკლესიო პირების მხრიდან ჟურნალისტებზე ძალადობრივი თავდასხმები განხორციელდა, მათ დაარბიეს კარვები, ასევე ქვები დაუშინეს და დაარბიეს „სირცხვილას“ ოფისი, ამის შემდეგ კი ჰომოფობიური ჯგუფები „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეიჭრნენ და აივნიდან გადმოფენილი ღგბტქ დროშა გაანადგურეს.

რადიკალური ჯგუფების წარმომადგენლები ფიზიკურად გაუსწორდნენ სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებს, მათ შორის „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებსა და ოპერატორებს.

16 წლის ახალქალაქელი ბიჭი ბათუმში ყარაბაღის გამო დაჭრეს

ბათუმში ახალგაზრდებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს 3 ივლისს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გომანში მცხოვრები 16 წლის ბიჭი დაჭრეს.

იგი მეგობრებთან ერთად აჭარაში დასასვენებლად იყო წასული.

ამის შესახებ „სამხრეთის კარიბჭე“ იუწყება.

ახალგაზრდები ყვებიან, რომ ჩხუბი აზერბაიჯანელებთან მოუვიდათ.

– ბულვართან ახლოს სანაპიროზე ხუთნი ვისვენებდით, ჩვენზე უფროსი ბიჭები მოვიდნენ, გვკითხეს, ვინ ხართო, რომ გაიგეს, რომ სომხები ვიყავით, გვითხრეს, თუ სომხები ხართ, თქვენთან პრობლემა გვაქვსო. ისინი იძახდნენ, „ყარაბაღი აზერბაიჯანისაა“, ჩვენ ვამბობდით, რომ „ყარაბაღი სომხეთისაა“. ამის გამო გამოგვეკიდნენ, ქვებს გვესროდნენ და გვირტყამდნენ. რამდენიმე გავიქეცით და პოლიციასთან ერთად დავბრუნდით. პოლიციასაც არ მოერიდნენ და გაგრძელდა ხელჩართული ჩხუბი, – ამბობს ერთ-ერთი ახალგაზრდა, რომელიც 16 წლის ბიჭთან ერთად იყო ბათუმში წასული.

მისი თქმით, არ დაუნახავს, როგორ დაარტყეს დანა მეგობარს მუცელში.

– როგორ დაარტყეს დანა ჩემ მეგობარს არ დამინახავს, რადგან ხელებს აქეთ-იქით ვიქნევდით, თავსა და მეგობრებს ვიცავდით. პოლიციელებსაც ურტყამდნენ. ჩვენზე ასაკით დიდები იყვნენ, 30 წლამდე იქნებოდნენ, ამხელა ბიჭები მოვიდნენ და 15-16 წლის ბიჭები გვცემეს. ჩემი მეგობრის მსგავსად, პოლიციელისთვისაც უნდა დაერტყათ დანა, მაგრამ დაიჭირა და ხელი გაეჭრა. ჩვენ გვაბრალებდნენ, შემდეგ კამერებში ნახეს, რომ ჩვენ არ ვიყავით დამნაშავეები, ამიტომ ისინი დააკავეს, – ამბობს 16 წლის ბიჭის მეგობარი.

16 წლის ბიჭს ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული, დაშავებულს ოპერაცია ჩაუტარდა, ამჟამად იგი ბათუმში მდებარე კლინიკაში იმყოფება.

– დღესაც რეანიმაციაში დარჩება, ექიმები ამბობენ, კარგად გრძნობს თავს, – ამბობს არასრულწლოვნის დედა ზარუჰი უსტიანი.

მომხდართან დაკავშირებით ცხელ კვალზე დაკავებულია ერთი პირი.

შსს-მ 3 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის და ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და ძალადობის მუქარით პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე 3 პირი: წარსულში ნასამართლევი, 1982 წელს დაბადებული მ.დ., 1983 წელს დაბადებული ზ.ჭ. და ასევე, წარსულში ნასამართლევი, 1979 წელს დაბადებული ზ.მ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა რომ დაკავებულებმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, „მთავარი არხის“, გამოცემა „ტაბულასა“ და საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის“ წარმომადგენლებს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა ტერიტორიაზე ძალადობით და ძალადობის მუქარით ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში და მიაყენეს ფიზიკური დაზიანება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 126-ე მუხლის 1 ნაწილით გრძელდება.

ძალადობრივ ქმედებებში და კანონდარღვევის ფაქტებში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების მიზნით გრძელდება აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, ამ დროის მონაცემებით უკვე გამოიკითხა სხვადასხვა მედიასაშუალების 25 წარმომადგენელი.

მიმდინარეობს ინციდენტების ამსახველი მასალების შესწავლა.

სენაკთან მანქანა ხევში გადავარდა და აფეთქდა

3 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 7 წლის ბავშვი

უბედური შემთხვევა სენაკში – სოფელ ბეთლემთან მანქანა ხევში გადავარდა და აფეთქდა. 3 პირი, მათ შორის 7 წლის ბავშვი, მანქანაში დაიწვა, 2 დაშავებული კი მძიმე მდგომარეობით სასწრაფო დახმარების ჯგუფმა სენაკის კლინიკა „სენამედში“ გადაიყვანეს.

ისინი სენაკში დასასვენებლად იყვნენ ჩასული და მარტვილიდან შემოვლითი გზით ბრუნდებოდნენ.

ერთ-ერთი ვერსიით, 7 წლის ბავშვის ბაბუა, რომელიც საჭესთან იჯდა, მანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა.

საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტი გამოავლინა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ექვსი პირის მიმართ დაიწყეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა, მუნიციპალიტეტის მერიის ორი თანამშრომლისა და სამი ცრუ მოწმის დახმარებით, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაირეგისტრირა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელსოფელში მდებარე ოთხი მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 5.477 მ2. მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთების საერთო საბაზრო ღირებულება შეადგენს 52.678 ლარს.

გამოძიების დაწყებისთანავე დაყადაღებულ იქნა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები.

უწყების ცნობით, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 362-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

თბილისის აფთიაქს 917 ნამალი ჩამოერთვა

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ თბილისში მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში დიდი ოდენობით ფსიქოტროპული მედიკამენტი აღმოაჩინა.

მან პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი საკონტროლოდ შეისყიდა.

„დადასტურდა, რომ ადგილი ჰქონდა უკანონო ფარმაცევტულ საქმიანობას და აღნიშნული ფსიქოტროპული ნივთიერებები დაწესებულებას მიღებული ჰქონდა კანონდარღვევით.

უნებართვოდ არსებული, პირველ ჯგუფს მიკუთვნებული 917 ერთეული ფარმაცევტული პროდუქტი დაილუქა და ჩამოერთვა დაწესებულებას. დარღვევასთან დაკავშირებით შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გადაეგზავნა სასამართლოს შემდგომი რეაგირებისთვის“, – ნათქვამია განცხადებაში.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ცნობით, უწყება ფარმაცევტულ საქმიანობაზე კონტროლის ღონისძიებებს ყოველდღიურად ახორციელებს.

ინფორმაცია დაჭრილი პოლონელი ტურისტის გარდაცვალების შესახებ სწორი არ არის

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია ხეთაგუროვის ქუჩაზე დაჭრილი პოლონელი ტურისტის გარდაცვალების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება.

ამის შესახებ „რუსთავი 2“-ს ალადაშვილის სახელობის კლინიკაში განუმარტეს.

კლინიკაში აცხადებენ, რომ პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გუშინ, 6 ივლისს, გვერდზე გააზიარეს ვინმე ხატია ახალაიას პოსტი პოლონელი ტურისტის გარდაცვალების შესახებ.

პოსტის ავტორმა მოგვიანებით ინფორმაცია წაშალა, თუმცა ამბავი სოციალურ ქსელში სწრაფად გავრცელდა.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო სიგარეტი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგად, 505 კოლოფი უაქციზო სიგარეტის შენახვის ფაქტი გამოავლინეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში განმარტავენ, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს უაქციზო საქონელი ჩამოერთვა. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

გერმანიაში ჩინეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით პოლიტოლოგი დააკავეს

გერმანიის პროკურატურამ დააკავა და ბრალი წაუყენა მამაკაცს, რომელიც ჩინეთის საიდუმლო სამსახურის სასარგებლოდ ჯაშუშობაშია ეჭვმიტანილი.

პოლიტოლოგი კლაუს ლ. 2001 წლიდან ხელმძღვანელობდა ჰანს სეიდელის ფონდს მიუნხენში. აღნიშნული ფონდი დაკავშირებულია ანგელა მერკელის პარტიის, „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ პარტნიორ პარტია „ბავარიის ქრისტიან-სოციალურ კავშირთან“.

გერმანიის ხელისუფლების მტკიცებით, ჩინეთის საიდუმლო სამსახურმა ის 2010 წელს იმ პერიოდში გადაიბირა, როდესაც შანხაიში ლექციებს კითხულობდა.

ეჭვმიტანილი ჩინეთის სპეცსამსახურებს თანხის სანაცვლოდ გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდა.

კლაუს ლ. იყო ორმაგი აგენტი, რადგან იგი ასევე მუშაობდა გერმანიის სადაზვერვო სამსახურში.

ეჭვმიტანილს ინფორმაციის შეგროვებაში გერმანიის პოლიტიკაში მაღალი დონის კონტაქტები უწყობდა ხელს.

რუსეთში სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

რუსეთში, კამჩატკაში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად სამგზავრო თვითმფრინავში მყოფი ადამიანებიდან არავინ გადარჩენილა.

ამის შესახებ ინფორმაციას რუსული საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ.

– წინასწარი ინფორმაციის თანახმად, ან-26-ის ბორტზე მყოფი ყველა მგზავრი დაიღუპა, არავინ გადარჩენილა, – განაცხადა წყარომ სააგენტოსთან საუბარში.

თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც პეტროპავლოვსკ-კამჩატსკიდან პალანასკენ მიემართებოდა, 28 ადამიანი – 22 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი – იმყოფებოდა.

ინდოეთში მოსახლეობა კოვიდის ვაქცინის ნაცვლად მარილიანი წყლით აცრეს

ინდოეთში ათასობით ადამიანი კორონას საწინააღმდეგო ვაქცინის ნაცვლად მარილიანი წყლით აცრეს.

ინდოეთის ოფიციალური პირების განცხადებით, თაღლითობაში ექიმები და სამედიცინო პერსონალი მონაწილეობდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ყალბ ვაქცინებს ამზადებდნენ და ყიდდნენ.

გამოძიების ინფორმაციით, მარილიანი წყლით, სულ მცირე, 2.500 ადამიანი აცრეს. თაღლითობის შედეგად პირებმა 28.000 აშშ დოლარი გამოიმუშავეს.

თაღლითობაში ჩართული ექიმები დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, ამ დროისთვის 14 ადამიანია დაკავებული, რომლებსაც ბრალი თაღლითობის მუხლით წარედგინათ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბავშვის მობილურით თამაშმა მამა აიძულა, მანქანა გაეყიდა

უელსის ქალაქ კოლვინბეიში მცხოვრები ექიმი მუჰამად მუტაზა იძულებული გახდა, მანქანა გაეყიდა, რათა მობილური ტელეფონის დანართით მისი შვიდი წლის შვილის მიერ ნაყიდი ნივთების ფული გადაეხადა.

შვიდი წლის აშაზი ერთი საათის განმავლობაში ერთობოდა მობილურ ტელეფონში ჩატვირთული თამაშით. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ თამაშში შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობის შენაძენის გაკეთება, ხოლო შენაძენის ფასი 109 ფუნტ სტერლინგს არ უნდა აღემატებოდეს.

მუტაზამ ეს ყოველივე იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც თავის ელექტრონულ ფოსტაზე მოსული 29 ქვითარი ნახა. შენაძენი ნივთების ფასი ორიდან ას ფუნტამდე მერყეობდა, ხოლო მათმა საერთო ჯამმა 1289,7 ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

– თავიდან ვიფიქრე, რომ მომატყუეს. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ საბავშვო თამაშით ამდენი ფულის დახარჯვა შეიძლებოდა, – განაცხადა მუტაზამ.

მამაკაცმა კომპანია იპპლეში იჩივლა და მას 207 ფუნტი სტერლინგი დაუბრუნეს. მან მხარდაჭერის სამსახური მისი შვილის მოტყუებაში დაადანაშაულა, ხოლო თავად ის ფაქტიურად გაძარცვეს. კომპანიამ მუტაზას განცხადებაზე კომენტარი არ გააკეთა, თუმცა აღნიშნეს, რომ ისინი ამგვარ ინციდენტებს „სრული სერიოზულობით“ ეკიდებიან და მშობლებს სიფრთხილისკენ მოუწოდეს.

ყველა მოსული ქვითრის ასანაზღაურებლად ბავშვის მამას საკუთარი ტოიოტას გაყიდვა მოუხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯაბა კილაძე: „ნეო (ინკვიზიცია) იბადება და ვითარდება ჩვენ თვალწინ!“



ასე მიაჩნია თავისუფალი თეატრის მსახიობ ჯაბა კილაძეს და თბილისში განვითარებულ მოვლენებს აფასებს:

– ნეო (ინკვიზიცია) იბადება და ვითარდება ჩვენ თვალწინ! როგორც მაშინ ის სადისტები არანაირ კავშირში არ იყვნენ ღმერთთან, ისე ამათ არ აქვთ საერთო ქრისტესთან! ძალადობისაკენ მოწოდება და ამ ძალადობის აღსრულება რელიგიის სახელით! თუ რამით მართლა ამაყობდა ქართველი, დღეს ყველაფერი ფეხქვეშ გათელეთ ქართველობის სახელით! სიგიჟეა ამის ყურება, შენივე თანამოქალაქეს ლინჩის წესით უსწორდებოდე და მერე გამარჯვების აღსანიშნავად რუსთაველზე ცეკვავდე და მღეროდე!

დათო კენჭიაშვილი ჟურნალისტებს სოლიდარობას უცხადებს

მომღერალი დათო კენჭიაშვილი ჟურნალისტებს სოლიდარობას უცხადებს და მათ ფიზიკურ ანგარიშსწორებას გმობს:

– ღმერთის სახელით ჟურნალისტებს ურტყამთ, რა მაფიაა? თან სასულიერო პირი. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ტელევიზიიდან არის, ან იმ ოპერატორ ბიჭებს რომ ურტყამთ და დაასისხლიანეთ, ეგ გასწავლათ ღმერთმა, სახარებაში ეგ გიწერიათ? თუ ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი სიმართლის სახარება გვაქვს? ყველა ჩემს მეგობარს, ვინც არის ამ სფეროს წარმომადგენელი, გიცხადებთ გვერდში დგომას და ბოდიშს გიხდით, ასეთ ნაძირლებთან რომ გვაქვს თანაცხოვრება!

სპორტი

„ზიდანის წასვლა არ გამკვირვებია“

ფლორენტინო პერესმა რეალზე ისაუბრა

მადრიდის რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ესპანურ მედიასთან ისაუბრა, სადაც ღიად ილაპარაკა იმ თემების გარშემო, რომლებიც გულშემატკივარს განსაკუთრებით აინტერესებს, მათ შორის ზინედინ ზიდანზე, სერხიო რამოსზე, რაულზე...

– სერხიო რამოსის გუნდიდან წასვლა და თანაც ამ ფორმით ცოტა მიუღებელი ჩანდა.

– ჩემთვის სერხიო რამოსი შვილივითაა. მასთან სხვადასხვა დროება მქონია. ჩვენ ერთად ბევრი რამ ვნახეთ. მასთან არ ვიყავი პრესკონფერენციაზე, რადგან მედიის წინაშე ფეხბურთელთან ერთად არც არასოდეს ვყოფილვარ. თაყვანს ვცემ სერხიო რამოსს და არ ვაპირებ ბრძოლებზე ლაპარაკს. ის ლეგენდაა რეალის გულშემატკივრისათვის. ჩვენ შევთავაზეთ ახალი კონტრაქტი და დრო მოსაფიქრებლად მივეცით. მან კი ეს შეთავაზება არ მიიღო. სერხიომ უნდა იცოდეს, რომ რეალი მისი ოჯახია. მოხარული ვიქნებით, თუ ის წავა ისეთ გუნდში, რომელიც შესთავაზებს მას იმას, რაც ჩვენ ვერ შევთავაზეთ.

– გუნდიდან წავიდა ზინედინ ზიდანიც, რომელმაც ასევე ძალიან ბევრი რამ გააკეთა რეალისთვის.

– ზიზუს კარგად ვიცნობ და ნამდვილად არ გამკვირვებია, რომ მან გუნდის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ძალიან რთული წელი იყო. მთელი ძალით ვარწმუნებდი, რომ არ წასულიყო. შვილიშვილებს ვფიცავ, ძალიან მეწყინა, როცა წავიკითხე, რომ ზიდანი წავიდა. ის დაიღალა არა ჩემ გამო, არამედ, მედიისა და დიდი წნეხის გამო.

–გულშემატკივარი გულდაწყვეტილია იკერ კასილიასის უპატივცემულობის გამოც.

– იკერს დავურეკე და გამოსამშვიდობებელი საღამო შევთავაზე, ის კი არ მოვიდა. უფრო ვაბრალებ იმას, რომ ამ ღონისძიების წინა დღეს, როცა მე საღამოს მოწყობა შევთავაზე, ის არ იყო კარგ ხასიათზე. ის დიდი ფეხბურთელი იყო, ნამდვილი ლეგენდა.

– რამდენად რეალურია გუნდში კილიან მბაპეს მიყვანა?

– რა თქმა უნდა, გულშემატკივრებს სურთ, რომ რეალში საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ. 13 წლისაც რომ იყოს, მაინც ძალიან უნდათ. მათ იციან, რომ ჩემი პოლიტიკაც ესაა. არ მინდა, ვილაპარაკო ფეხბურთელზე, რომელიც ჩვენი არ არის. ზოგადად, მოლაპარაკებები და ტრანსფერები ძირითადად ევროთასების შემდეგ ხდება ხოლმე. მე ხალხი მენდობა და მე ვამბობ, რომ ის დიდი ფეხბურთელია.

– არის თუ არა შანსი, რეალმა გარეთ ბეილი დაიბრუნოს?

– ის ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მახსოვს 2018 წლის ჩემპიონთა ლიგა და მისი შესანიშნავი თამაში. იმ ფინალში „მაკრატელა“, მერე ლისაბონში თავური, „კოპა დელ რეიზე“ ბარსელონასთან მისი დიდებული რეიდი...

– გუნდიდან წასვლაზე ალაპარაკდა რაფაელ ვარანიც, რომელიც, შესაძლოა, მანჩესტერში გადავიდეს.

– გაზეთები წერენ, რომ მას წასვლა უნდა, მე კი არაფერი მსმენია ამის თაობაზე. დამთავრდება ევროპის ჩემპიონატი და მასთან კონტრაქტის განახლების თაობაზე მერე ვისაუბრებთ. ჯერ არ მილაპარაკია ფეხბურთელთან. თუ წასვლა უნდა, იტყვის, თუ – დარჩენა, ამასაც არ დამალავს. ვარანს რეალთან კიდევ აქვს ერთი წელი კონტრაქტი და, არა მგონია, მის თაობაზე ახლა რაიმე სერიოზული შეთავაზება მივიღოთ.

– რა ხდება მარსელოსთან დაკავშირებით?

– მასაც კიდევ ერთი წელი აქვს კონტრაქტი რეალთან. ამასთან, მარსელო მომავალ სეზონში გუნდის კაპიტანი იქნება. ის დიდი ხანია, აქ არის და ეს ნდობა კარგი თამაშით დაიმსახურა. ძნელია, მარსელოს დონის მცველი იპოვო. ვფიქრობ, ის ამ ამპლუაში ყველა დროის საუკეთესოა რობერტო კარლოსთან ერთად.

– ახალ მწვრთნელ კარლო ანჩელოტიზე რას იტყვით, მოელოდეთ თუ არ ელოდეთ?

– ჩვენ მისით აღფრთოვანებული ვართ. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველასგან მოწონებას იმსახურებს. სულ ვფიქრობდით, რომ ის საუკეთესო გამოსავალი იყო. არ გვილაპარაკია არც პოჩეტინოსთან, არც სარისთან, არც ალეგრისთან და არც კონტესთან.

– იყო საუბარი მწვრთნელად რაულის დანიშვნაზეც.

– ჩვენ გვჭირდება გამოცდილება და რაული მას ყოველწლიურად იღებს. მას აქვს ყველა თვისება, რომ მომავალში რეალის მთავარი მწვრთნელი იყოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

რომის ბიბლიოთეკაში ქართული ბიბლიოთეკის განყოფილება გაიხსნა

იტალიის დედაქალაქ რომში, საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და რომში მცხოვრები ირაკლი სოსელიას დახმარებით, ორგანიზება გაეწია რომის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ენცო ტორტორას სახელობის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნების განყოფილების გახსნას.

პირველი ნაკადი 120 წიგნის სახით საქართველოდან ჩაიტანეს და განთავსდა ბიბლიოთეკაში. მათ შორის შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ლადო ასათიანის, ტერენტი გრანელის, გრიგოლ რობაქიძის, მუხრან მაჭავარიანისა და სხვა ქართველი კლასიკოსებისა და ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები.

რომის ბიბლიოთეკაში ქართული ბიბლიოთეკის განყოფილების გახსნის ოფიციალური პრეზენტაცია ოქტომბერში გაიმართება, მანამდე კი, იტალიაში არსებული პანდემიის რეგულაციებიდან გამომდინარე, შედგა ქართული წიგნების ოფიციალური გადაცემა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში კონსტანტინე სურგულაძე, მრჩეველი კულტურისა და დიასპორის საკითხებში დავით გომართელი და საელჩოსა და დიასპორის სხვა წარმომადგენლები.

დინა მირცხულავა: „ათამდე მშიერი პოეტი ვიცი“

მწერალი დინა მირცხულავა აცხადებს, რომ ათამდე მშიერი პოეტი იცის, მხატვრები ფუნჯებისა და მოლბერტების გარეშე, მსახიობები როლების გარეშე, რომლებსაც ძალიან უჭირთ:

– ათამდე მშიერი პოეტი ვიცი, პირადად რომ ვიცნობ, ისეთი.

ამდენივე მწერალი ვიცი.

თაროზე შემოდებული ლექსები და ნოველები ვიცი, რომ ვერ გამოუციათ.

ვიცი მხატვრები ფუნჯების, სახელოსნოების, მოლბერტებისა და პალიტრების გარეშე.

ვიცი მსახიობები როლების გარეშე, გაუბედურებულები, უღონობა-უქონლობით შეჭირვებულები.

ადამიანები ვიცი, თვის ბოლოს კარში გარჭობილ ქვითრებს რომ ხელის კანკალით შლიან.

მოხუცები ვიცი, გრძელვადიანი საპენსიო სესხებით.

ბავშვები ვიცი, წვნიანი რომ არ იციან, რა არის და არასოდეს სცმიათ თავიანთი ზომა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი.

და, აი, წლების მერე, ჩვენ რომ დავბერდებით, მე და შენ რომ დავბერდებით და გვკითხავენ შვილები თუ შვილიშვილები – შენ როგორ გადარჩიო?!

მე ვიცი, რომ შეგვრცხვება, ძალიან შეგვრცხვება.

ახლაც მრცხვენია.

ჩემი ქვეყანა მკლავდა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბორჯღალოსნების ტესტები, შესაძლოა, ჩაიშალოს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ივლისში კიდევ ორი ტესტი აქვს დაგეგმილი, მაგრამ, შესაძლოა, ორივე ჩაიშალოს.

კორონავირუსის გამო შოტლანდიის ნაკრები, რომელთანაც 17 ივლისს უნდა ვიბურთაოთ, იზოლაციაშია და პასუხს უახლოეს დღეებში იტყვის. იგივე სიტუაციაა სამხრეთ აფრიკის ნაკრებშიც, რომელსაც 2 ივლისს ერთხელ უკვე ვეთამაშეთ.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის ვებგვერდის ცნობით, 5 ივლისს დაგეგმილი ვარჯიში ჩაიშალა მას მერე, რაც „ბოკეს“ მორაგბე ლუდ დე იახერს კოვიდ 19-ზე დადებითი ტესტი აღმოაჩნდა.

დე იახერს კონტაქტი დანარჩენ თანაგუნდელებთანაც ჰქონდა და მთელი ნაკრები იზოლაციაში გადავიდა. გუნდმა სრულად გაიარა კოვიდტესტები. ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება გუნდში ეპიდემია.

შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ჩვენებმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან 9:40 წააგეს.

ახალგაზრდა მოჭიდავეების წარმატება



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა დორტმუნდის ევროპის ჩემპიონატი.

ქართველმა „კლასიკოსებმა“ დორტმუნდის ხალიჩაზე 6 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 3 უმაღლესი სინჯისაა, 2 ვერცხლის მედალია და ერთიც – ბრინჯაოსი.

ჩემპიონობა მოიპოვეს ფრიდონ აბულაძემ (60 კგ), დიეგო ჩხიკვაძემ (63) და გიორგი ჩხიკვაძემ (72). კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ნაბიჯი დააკლდათ გიორგი თოხაძესა (55) და გიორგი შპეტიშვილს (77). ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ლუკა ოჩიგავა (67).

საქართველოს ნაკრებმა წარმატებას გუნდურ ჩათვლაშიც მიაღწია. რევაზ ლაშხის გუნდმა 154 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ რუსეთისა და თურქეთის ნაკრებები.

დორტმუნდშივე იასპარეზეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმაც. ამ შემთხვევაში საქართველოს ნაკრებმა 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მე-3 ადგილები დაიკავეს გიორგი გეგელაშვილმა (57), დავით აბდალაძემ (61) და გიორგი ჭოლაძემ (65).

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

თბილისის დინამო ჩემპიონთა ლიგას ნეფთჩისთან შეხვედრით იწყებს

დღეს, 7 ივლისს, საქართველოსა და აზერბაიჯანის ყველაზე ტიტულიანი კლუბები, თბილისის დინამო და ბაქოს ნეფთჩი, ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან. მატჩი დიდ ინტერესს იწვევს.

მთავარი არბიტრი დავიდ ფუქსმანი გახლავთ. მას ასისტენტობას ნატი დოტანი და მათითიაჰუ იაკობოვი გაუწევენ. მეოთხე მსაჯი იდან ლეიბა იქნება.

ნეფთჩი თბილისშია და დინამოსთან გასამართი შეხვედრისთვის აზერბაიჯანის ჩემპიონმა საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე ივარჯიშა. აზერბაიჯანული მედია უკმაყოფილოა იმით, რომ ნეფთჩი ჯერჯერობით სატრანსფერო ბაზარზე არ აქტიურობს. გუნდმა დაიმატა გამოცდილი პარაგვაელი მეზა კოლი, რომელიც სწორედ ცახა ცხადაძის შეგირდი იყო ბაქოს ინტერში.

თუმცა აზერბაიჯანული მხარე იმასაც ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე დინამოს დასამარცხებლად ეს გუნდიც საკმარისი იქნება.

თავის მხრივ, ქართული მედიაც უკმაყოფილოა, რომ დინამომ არანაირი ნაბიჯი არ გადადგა გასაძლიერებლად. დინამომ მატჩისწინა ვარჯიში, ისევე, როგორც ნეფთჩიმ, „დინამო არენაზე“ გამართა.

კახა ცხადაძე:

– ჩემთვის სასიამოვნო იქნება, კვლავ ჩავიდე აზერბაიჯანში, სადაც შვიდ წელიწადზე მეტი ვიმუშავე. მიყვარს ბაქო და ზოგადად აზერბაიჯანი. არასოდეს დამავიწყდება ამ ქვეყანაში გატარებული დრო, თუნდაც თანამეგობრობის თასის მოგება და ის, თუ რა თბილად მიგვიღო ქვეყნის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა. ბაქო ჩემთვის მშობლიური ქალაქივითაა. ჩვენ ვაფასებთ აზერბაიჯანელ ხალხს. რაც შეეხება მეტოქეს, ნეფთჩი ისეთივე ბრენდია აზერბაიჯანში, როგორიც დინამო – საქართველოში. ეს არის კლუბი დიდი ისტორიით! ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მზად შევხვდეთ ამ თამაშებს. ჩემპიონთა ლიგაში დიდი ამოცანები და ამბიციები გვაქვს. გვინდა, მაქსიმალურად კარგად გამოვიდეთ. ახლა ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, ვინ გვინდოდა მეტოქედ და ვინ – არა.

მეტოქეზე ის ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც სამირ აბასოვი დაინიშნა მთავარ მწვრთნელად, გუნდმა დაიწყო მოგება და გააძლიერა კონკურენცია ყარაბაღთან. ბოლოს და ბოლოს, ყარაბაღს „ოქროს მატჩში“ მოუგეს.

საქართველოში სეზონი მიმდინარეობს და, გარკვეულწილად, კარგია, რომ გუნდი რიტმშია. ჩვენ ვატარებთ ოფიციალურ შეხვედრებს, კონკურენციაში ვართ ბათუმის დინამოსთან. ჩვენთვის ყველა მატჩი ფინალის ტოლფასია. ასეთი თამაშების ჩატარება უკეთესია, ვიდრე – ამხანაგური. მეორე მხრივ, ბოლო 2 თვის განმავლობაში თბილისის დინამომ ბევრი მატჩი ჩაატარა და ეს დამღლელია. „ნეფთჩისთან“ შეხვედრის წინ უნდა ვიფიქროთ, როგორ შევხვდეთ ამ მატჩებს საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში.

შანსებზე არ ვილაპარაკებ. ყველაფერი 2 შეხვედრაში გადაწყდება. ითვლება, რომ პირველი შეხვედრის ჩატარება სტუმრად ჯობია. გაჩნია, როგორ მიიღებ ამას. მთავარი ის კი არ არის, სად იწყებ, მთავარია, ვინ გადის შემდეგ ეტაპზე.

დინამოელები სხვადასხვა გუნდში გაიფანტნენ

ესპანურმა ვალენსიამ საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი მამარდაშვილი წარადგინა. თბილისის დინამოს საკუთრების, 20 წლის მეკარის ტრანსფერი ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში შედგა და ჩვენებური ესპანეთში ერთწლიანი იჯარით ითამაშებს, ხოლო 2021-22 წლების დასრულების შემდეგ ვალენსიას მისი გამოსყიდვა შეეძლება.

ვალენსია ახალი სეზონისთვის მზადებას 7 ივლისიდან დაიწყებს. მანამდე გიორგიმ სამედიცინო შემოწმება გაიარა, პრეზენტაცია კი „სიუდად დეპორტივაზე“ შედგა.

– ჩვენ გვყავს ოთხი მეკარე და მათზე ვაკეთებთ აქცენტს, – განაცხადა ვალენსიის ახალმა თავკაცმა ხოსე ბორდალასმა.

აღსანიშნავია, რომ ამ ოთხეულში ბორდალასმა 20 წლის ქართველიც იგულისხმა. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ესპანური მედია მამარდაშვილს ვალენსიის მომავლად მიიჩნევს.

დინამოს ნახევარმცველი გიორგი აბუაშვილი კი პორტუს ფეხბურთელი გახდა. „დრაკონებმა“ 18 წლის ქართველ შემტევს კონტრაქტი 2026 წლამდე გაუფორმეს.

აბუაშვილი თბილისის დინამოს აღზრდილია. საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში მან 4 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ერთხელ ძირითადშიც ითამაშა.

პორტუგალიელები იხსენებენ, რომ 2019 წელს აბუაშვილი საქართველოს იმ 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი იყო, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 0:0 ითამაშა პორტუგალიელ თანატოლებთან.

აბუაშვილი მომავალ სეზონს პორტუს მე-2 გუნდში და რანგით მე-2 ლიგაში იასპარეზებს, სადაც არაერთი შანსი ექნება თავის გამოსაჩენად და, იმედია, მალე მთავარი გუნდისკენაც გაიკვლევს გზას.

დინამოს კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, 18 წლის ნახევარმცველმა ლუკა გაგნიძემ, 5-წლიანი კონტრაქტი მოსკოვის დინამოსთან გააფორმა.

შედეგები

5 ივლისი
ფეხბურთი

შვედეთი. აღსვენსჯა

გიოტებორგი-ელფსბორგი	0:1
დიურგარდენი-იორებრო	3:0

ნოჰვეგია. ეიტსეჰია

კრისტიანსუნდი-ბრანი	3:2

ჩოგბურთი
უიმბლდონი

ჯაცები

ხაჩანოვი-კორდა	3:6,6:4,6:3,5:7,10:8
ბერეტინი-ივაშკა	6:4,6:3,6:1
ფუცოვიჩი-რუბლიოვი	6:3,4:6,4:6,6:0,6:3
შაპოვალოვი-ბაუტისტა აგუტი	6:1,6:3,7:5
ჯოკოვიჩი-გარინი	6:2,6:4,6:2
ოჟეალიასიმი-ზვერევი	6:4,7:6,3:6,3:6,6:4
ფედერერი-სონეგო	7:5,6:4,6:2

ქალები

რიბაკინა-სობოლენკო	3:6,6:4,3:6
შვიატეკი-ჟაბერი	7:5,1:6,1:6
ბარტი-კრეიჩიკოვა	7:5,6:3
პლიშკოვა-სამსონოვა	6:2,6:3
ჰიბერტი-მუხოვა	6:7,4:6
კიზი-გოლუბიჩი	6:7,3:6
გაუფი-კერბერი	4:6,4:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 2. სქელი ქაღალდი; 3. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 5. დეპუტატთა გასამრჯელოს სახელწოდება მეფისდროინდელ რუსეთში; 6. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდზე, ფულზე; 8. რაინდული ქცევისა და ბუნების მქონე მამაკაცი ძველ თბილისში; 10. ყურძნის შაქარი; 12. ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდებლად; 14. შალის ქსოვილის მავნებელი პეპელა; 15. ქართული ნაციონალური კერძი; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 4. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 7. ხილით, ბოსტნეულით, ტკბილეულით მოვაჭრე ძველ თბილისში; 9. გემის ტვირთმზიდაობა; 11. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 12. ღვინის სპირტი; 13. პატარა ბაღი; 17. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. შხამიანი აფრიკული ბუზი; 19. ფრანგული არაყი; 20. მცენარეულის მჭამელი ცხოველი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰიმენე; 2. მაზდა; 3. სპაზმი; 4. ტრიუმი; 6. მორიელი; 9. ქართუ; 11. ბარამბო; 15. საკვოიაჟი; 16. ესკიზი; 17. ქაშანური; 19. იქტიოლი; 21. ბალზამი; 22. ხოხობი.

თარაზულად: 5. ვიქტორია; 7. ოოლოგია; 8. ლინატე; 10. კაჭკაჭი; 12. მრუმე; 13. ურანი; 14. ზეთისხილი; 18. ამანი; 20. ასუანი; 23. სოპოტი; 24. ლელო; 25. კაზინო; 26. ბაჟე; 27. იმერეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყავა; 2. შაშხი; 3. არიეტა; 5. ხრამი; 6. ლანჩხუთი; 8. კომპრომისი; 10. ვივიენი; 12. ცენზორი; 14. ორტეგა; 15. სოფიტი; 16. ლვოვი.

თარაზულად: 1. ყურუში; 4. თხუნელა; 7. ბუშელი; 9. ტორინო; 11. ამფიბია; 12. ცუცხვათი; 13. პიარნუ; 17. ბაროკო; 18. პინო; 19. ორიფლეიმი; 20. ტიტიკაკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1518

ევრო — 3.7440

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3690

100 რუსული რუბლი — 4.2975

ამინდის პროგნოზი 7 ივლისისათვის

ბარსელონა გრიზმანის გაყიდვას აპირებს



ბარსელონა, დიდი ალბათობით, ანტუან გრიზმანს გაყიდის, რადგან გუნდში ბევრი ფორვარდია და, როგორც ჩანს, კუმანი გრიზმანზე აქცენტს არ აკეთებს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც გრიზმანი, შესაძლოა, ატლეტიკოში დაბრუნდეს, სადაც ბარსელონაში გადასვლამდე 5 სეზონი გაატარა. ასევე არსებობს ინფორმაცია, რომ გრიზმანი რომელიმე ინგლისურ კლუბში გაგრძელებს კარიერას.

იულიან ნაგელსმანი: „გვარდიოლა ჩემი კერპია“

მიუნხენის ბაიერნის ახლადდანიშნულმა მწვრთნელმა იულიან ნაგელსმანმა ხოსეპ გვარდიოლაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მისი კერპია.

ნაგელსმანის აზრით, გვარდიოლა მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელია:

– როდესაც ჯერ კიდევ თინეიჯერი ვიყავი, გვარდიოლა ჩემში აღფრთოვანებას იწვევდა და მან წლების განმავლობაში დაამტკიცა, რომ საუკეთესოა. ვფიქრობ, მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქეთი დოლიძის შვილიშვილს თავს დაესხნენ

რეჟისორ ქეთი დოლიძის შვილიშვილს ლუკა ბზიავას თავს დაესხნენ. შემთხვევა ვაკეში მოხდა:

– ჩემი შვილიშვილი მოდიოდა ჩემთან სახლში, ბაზალეთის ქუჩაზე! გამოეკიდა ვიღაც ჩოხოსანი, დაადგო ეზოში, ჩემს ეზოში! ეს რა მხეცობაა, ლუკასა და ორ მის მეგობარს, აი, ასე უაზროდ გამოეკიდა ვიღაც მხეცი! აი, ამას ვამბობ, პროვინციალიზმი უკიდეგანო, აგრესიული პროვინციალიზმი თან! ვინ საიდან მოდის და მიდის, უკვე არავინ იცის! ეს არის გაუნათლებლობა, სიბნელე და უბედურება!

საით მიდიხართ, ხალხო? რა ხდება? ვინ გაგიჟებთ? ასე იცავთ „ქართველობას“? რა აქვს ამ სიმხეცეს საერთო ღმერთთან, ან რწმენასთან, ან ადამიანობასთან? ამას ვინც მართავს, ის არის ყველაზე დიდი დამნაშავე დღეს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 ივლისისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **კურო** – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** – ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **ღრიანკალი** – საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** – პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** – თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

გისუიჯვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბუჩქებიდან ისმის მამაკაცის ხმა:

– ქალო, ნამუსი იქონიე, მეტი აღარ შემიძლია!

– კი მაგრამ, მანამდე შენ არ მიმტკიცებდი, მანიაკი ვარო!

●●●

მამაკაცი მაღაზიაში ახალგაზრდა გამყიდველ გოგონას ეკითხება:

– რა გაქვთ ნამდვილი მამაკაცებისთვის?

– მხოლოდ მე და ლელა!

●●●

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, რაც ჩემი ქმარი თქვენი საავადმყოფოდან გამოეწერა, ჩემდამი, როგორც ქალის მიმართ, ყოველგვარი ინტერესი დაკარგა...

– ბოდიშით, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მის მხედველობას ვუმკურნალეთ...

●●●

სავაჭრო ცენტრში შესულ მამაკაცს გამყიდველი შეეგება და ეკითხება:

– მოგესალმებით, მობრძანდით, რით შემიძლია დაგეხმაროთ, რა გირჩიოთ?

– იცით, დასათვალიერებლად შემოვედი, ფული თან არ მაქვს.

– უფულოდ რას შემოეხეტე! აქ შენთვის საინტერესო არაფერია!

– ... მაგრამ საკრედიტო ბარათი მაქვს, ოქროს ბარათი...

– და, ისევ მოგესალმებით!!!

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– დაწოლის წინ ტუჩებზე პომადას რატომ ისვამ?

– ვინმეს რომ დავესიზმრო...

●●●

ახალწვეული ჯარისკაცი ოფიცერს ეუბნება:

– ბატონო ოფიცერო, ამ ფორმაში ნამდვილ საფრთხობელასავით გამოვიყურები...

– შესანიშნავი! ჯარისკაცი მტერს თავისი გარეგნობითაც კი შიშის ზარს უნდა სცემდეს!!!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– კაცო, მოდი, ფარდები ვიყიდოთ და საძინებლის ფანჯრებზე ჩამოვაფაროთ.

– რატომ? აქამდე ხომ მაგის გარეშე გავდიოდით.

– ჩვენ პირდაპირ სახლი სტუდენტ ბიჭებს უქირავებიათ და, რომ დამინახონ, როდესაც ვიხდი?

– ქალო, შენ მაგაზე არ ინერვიულო, დამიჯერე, რომ დაგინახავენ, თავიანთ ფანჯარას ფარდებს თვითონვე ჩამოაფარებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დათა თავაძე: „უმნიშვნელოვანესია სახელოვნებო სფეროს ფუნქციისა და როლის სრული გადააზრება“



რეჟისორი და მსახიობი დათა თავაძე მიიჩნევს, რომ სახელოვნებო სფეროს ფუნქციისა და როლის სრული გადააზრება უმნიშვნელოვანესია:

– უმნიშვნელოვანესია სახელოვნებო სფეროს ფუნქციისა და როლის სრული გადააზრება. ამას გუშინაც ვამბობდი – რისთვის ვართ და რა გარემოს ვუქმნით ერთმანეთს. ცვლილებები სინამდვილეში სასწავლო, სამუშაო და მსგავს სივრცეებში იწყება. თეატრალური უნივერსიტეტის პედაგოგი გუშინ ჰომოფობიურ პოსტებს რომ წერდა და აშეარებდა, უნდა მიხვდეს, რომ ერთ დღეს ლექციაზე არავინ დახვდება. ყველა უნივერსიტეტმა და სახელოვნებო უნივერსიტეტებმა, ალბათ, პირველ რიგში, უნდა აღზარდონ სოლიდარობისა და თანადგომის ინსტინქტი, უნდა შექმნან ისეთი გარემო თავიანთი სტუდენტებისთვის, რომ, დიახაც, მათი განსხვავებულობა წახალისდეს, რადგან სად, თუ არა ხელოვნებაში, ამას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს.

ძალიან მიხარია, რომ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა მკაფიოდ გამოხატეს, რომ ერთმანეთის გვერდით დგანან, თავიანთი თანაკურსელების გვერდით, მარტო არ აგრძნობინეს თავი ამ საშინელებაში.

ეკა კვალიაშვილი ისტორიის გადახედვას გვირჩევს

მომღერალი ეკა კვალიაშვილი ისტორიის გადახედვას გვირჩევს:

– ვისაც რცხვენია, რომ ქართველია, იქნებ გადაავლოს თვალი ჩვენს ისტორიას, მეფეებს, მწერლებს, პოეტებს, დედებს, მეომრებს, მიწას, წყალს, რწმენას!

სახლში დიდი დალაგება, „უბორკა“ რომ დაარქვით, არ გაგიკეთებიათ, ნაგავი არ გადაგიყრიათ, მტვერი არ გადაგიწმენდიათ? ეზო, კარმიდამო არ დაგილაგებიათ? თუ ერთი აგურიც არ დაგიდვიათ საკუთარი სახლის ასაშენებლად, თუ სხვისი ხელით გსურთ მორთმეული, შეწირული, თავდადებული ბედნიერება, მაშინ ის დროა, დატოვოთ ის, რისიც „გრცხვენიათ“.

მე მიყვარს ჩემი მართლაც საამაყო ისტორია! მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს ადამიანები. რაც არ ეკადრება ამ ქვეყანას, სიძულვილია, რაც არ ეკადრება ამ ქვეყანას, განკითხვაა და ყველამ, როგორიც არ უნდა იყოთ მრწამსით, კეთილი ინებეთ და დაოკდით!

არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება არც შეურაცხყოფის, არც ძალადობისა და არც თავისი შეხედულებების თავზე მოხვევის! დაოკდით! და ვისაც ერცხვინება ჩემი საამაყო სამშობლო, არც არის ღირსი აქ ცხოვრების, მაგრამ, მოვა დრო და დიდ „უბორკას“ დრო ჩაატარებს, სამყარო ჩაატარებს!

სიყვარული და სიკეთე ყველას. არჩევანი თქვენია, რადგან ნება თავისუფალია, მაგრამ ოქროს შუალედი არ დაავიწყდეს არავის!

მიხეილ ზაქარიაშვილი დაქორწინდა

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი დაქორწინდა. მან ხანგრძლივი თანაცხოვრება თავის მეუღლესთან ოფიციალურად დააკანონა:

– არის თუ არა ეს ბილეთი? თქვენ გეგონათ, ვხუმრობდი? ჩვენი მეჯვარეები ლაურა ნადირაძე და ედუარდ უგულავა. ვიკისრე მწვადი, ხინკალი, ქაბაბი, ხაჭაპური, მუავე, მწარე და, რა ვიცი, მოკლედ, სიმბოლურად აღვნიშნეთ ხელის მოწერა და ჯვრისწერა იქნება გრანდიოზული. ასე მინდა მე...

თემო საჯაიასა და მარიტა ჯანაშიას ბიჭი ეყოლათ

მომღერალ თემო საჯაიასა და მოდელ მარიტა ჯანაშიას ბიჭი შეეძინათ.

პატარა ღუდუშაურის კლინიკაში დაიბადა. მას მშობლებმა ბექარი დაარქვეს. დედა და ახალშობილი თავს კარგად გრძნობენ.

წყვილი გასულ წელს დაქორწინდა. მათი სასიყვარულო ისტორია ტელეკომპანია „პოსტივიში“ დაიწყო, სადაც თემოც და მარიტაც წამყვანებად მუშაობდნენ.

ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებს საქართველოში ჩამოაბრძანებენ

პარასკევს, 9 ივლისს, საქართველოში ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებს ჩამოაბრძანებენ. სიწმინდე ინდოეთის მთავრობამ საქართველოს საჩუქრად გადასცა.

შაბათს, 10 ივლისს, 2 საათზე, დედოფლის წმინდა ნაწილებს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მიაბრძანებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვრულოვანი ა



შვეულად: 1. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 2. ეგვიპტური კუნძული წითელ ზღვაში; 3. ფლორიდის საკურორტო ცენტრი; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 6. კინოკომედია „ლონდრეს“ რეჟისორი; 9. ხურდა ფული საქართველოში; 11. სომეხთა მღვდელი; 15. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 16. ქართულ ბალეტ „გორდას“ პერსონაჟი; 17. თევზის ქვირითისგან მომზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. სოფლის შარაგზა; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

თარაზულად: 5. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 8. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 10. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 12. ქართველი მოჭიდავე, ბიზნესმენი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 14. პირველი კოსმონავტი ქალი; 18. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 20. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 23. მდინარის, ავტომაგისტრალის ქვეშ გაყვანილი წყალგამტარი არხი; 24. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 25. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 26. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა